# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 20 ოქტომბერი 1995 № 68 (206) ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გია ახალაძისა და ვარლამ გენზიურის ფოტოები

# ორმაგი მოგება

**დინამო – კაქტუსი 89:76** მეშვიდე გვერდზე

**დინამო – შევარდენი 3:0** მეორე გვერდზე



## ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

მე-10 ტური, 18 ოქტომბერი

ეგრისი 1:0 გურია

დურუჯი 0:1 კახეთი

სიონი 2:0 ივერია

სამტრედია 3:1 მარგვეთი

დინამო 3:0 შევარდენი

ბათუმი 2:1 მეტალურგი

კოლხეთი — დილა

დილა ფოთში არ ჩაფიდა

ზუგდიდი — ტორპედო

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 31-8 | 24 |
| მეტალურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 21-11 | 21 |
| სამტრედია | 8 | 6 | 2 | 0 | 26-10 | 20 |
| დინამო | 8 | 6 | 1 | 1 | 20-4 | 19 |
| შევარდენი | 10 | 6 | 0 | 4 | 18-14 | 18 |
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 22-10 | 17 |
| კოლხეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-8 | 17 |
| დილა | 9 | 5 | 2 | 2 | 17-10 | 17 |
| ბათუმი | 8 | 4 | 3 | 1 | 15-7 | 15 |
| კახეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-16 | 11 |
| ზუგდიდი | 8 | 3 | 0 | 5 | 18-24 | 9 |
| ივერია | 10 | 3 | 0 | 7 | 7-18 | 9 |
| ეგრისი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-24 | 7 |
| სიონი | 10 | 2 | 0 | 8 | 9-25 | 6 |
| გურია | 10 | 1 | 0 | 9 | 5-26 | 3 |
| დურუჯი | 10 | 0 | 1 | 9 | 0-29 | 1 |



# რაგბი ვაკეში სეზონის ბოლოსდა ბრუნდება

როგორც დიდი მოჭადრაკე ალექსანდრე ალეხინი იტყოდა, ცუდ პოზიციას თანდათანობით უნდა დაალწიო თავიო.

უთუოდ ამ ჭკუაზე დამდგარან ქართველი მორაგბეები. მას შემდეგ, რაც რკინიგზის ფეხბურთის მამებმა ოვალური ბურთის მიმდევრები ვაკის სტადიონიდან სექტემბრის დამდეგს მუხანათურად გააძევეს, მორაგბეებმა ჯერ მედიას ატეხინეს ხმაური, დახეთ რას გვიშვრებიანო, მერე ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიც შეაწუხეს, ბოლოს კი ნაკრები ეროვნულ სტადიონზე შეაპარეს, რითაც მთელ ერს გააგებინეს, ბურთის თამაში და ევროპელთა ძლევა ჩვენც შეგვძლებიაო. სამაგიეროდ, რაგბის ქომაგთა ლიანგი პაუკაცურად ითმენდა იმას, რომ პირველად ბოლო 24 წლის განმავლობაში, ორი თვის მანძილზე ერთი სარაგბო თამაში რაა, ისიც არ გამართულა ვაკეში.

ამასობაში რკინიგზის ფეხბურთის მამებს სულ სხვა, არასარაგბო მიზეზთა გამო საცოხოდ გაუხდათ საქმე. თითქოს ამ მომენტს ელოდნენო, საშინაო რაგბიც გამოვიდა იატაქქვეშეთიდან და გადასახლების ადგილიდან — „სასოფლოდან" ვაკეში ბრუნდება: იქ ხვალ დიდი ოთხეულის მერვე ტურის პროგრამით სამის ნახევარზე ითამაშებენ „ყოჩები" და „თბილისი", ხუთის ნახევარზე კი — „გუმარი" და „აია".

ვაკეში დაბრუნება ჯერჯერობით პირობითია: მასპინძელ გუნდებს სტადიონისა გადაუხდელი ქირა მართებთ. გარდა ამისა, თუ გუშინ მაგრად იწვიმებდა, თამაშები დღეს ისევ და ისევ „სასოფლოზე" გაიმართება.

**სამშაბათს „თბილისი" „გუმარს" სინს უნდა შეეცილოს.** იმედი ვიქონიოთ, რომ ეს გამორჩეული თამაში აწ კი უკვე უპირობოდ ვაკეში დაინიშნება.

# ღვთისნიერი ამერიკელები

არა, ამაში გადაჭარბებული არაფერია. მართლაც ღმერთის მოვლენილებს ჰგვანან და ისე გვიწყობენ ხელს, როგორც უფლის წარმოგზავნილთ შეეფერებათ. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან სიკეთის დათესვაში. სამნი არიან: ქალბატონი ნორმა ჰესინგერი, ბატონი კელვინ ჰილი და ბატონი ბობ უოლში. მათ კარგად იცნობენ ჩვენი მკითხველები და არა მხოლოდ ისინი. მათ კრგად იცნობენ სპორტის მოყვარულნი და სხვებიც, რაკილა ამ ამერიკელთა საქმიანობა საქართველოში ფრიად მრავალფეროვანია.

ქალბატონმა ნორმა ჰესინგერმა მრავალი ქართველი ახალგაზრდა სასწავლებლად წაიყვანა ამერიკაში, ჩვენს საავადმყოფოებს ჰუმანიტარული დახმარება არაერთხელ ჩამოუტანა, ხელი გაუწოდა ბავშვთა სახლებს... მერე ატლანტის ოლმპიური თამაშებისთვის ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა დასახმარებლად გამოძებნა კაცი — ბოლ-გრაუნდის მერი კელვინ ჰილი, რომელიც ამერიკაში სეოკ-ის ატაშედ დაინიშნა. მანაც საქართველოს ოლიმპიური გუნდის ხელშემწყობი ჯგუფი ჩამოაყალიბა და მისი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი, რაღა თქმა უნდა, ქალბატონი ნორმა ჰესინგერიც გახდა. ამ ზაფხულს რომ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრებმა რომ ატლანტაში ჩინებულ სპორტულ ბაზებზე შეკრება გაიარეს, ამაში სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ.

ქალბატონი ნორმა ჰესინგერი და ბატონი კელვინ ჰილი ახლა თბილისში არიან. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სეოკ-ის შტაბ-ბინაში. აქ გამართულ ლანჩზე სეოკ-ის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი დიდი წვლილისთვისსტუმრები სეოკ-ის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა. ქალბატონმა ნონამ სოკ-ის სახელით ისინი საერთაშორისო ოლიპიური კომიტეტის მედლებითაც დააჯილდოვა. იმ ლანჩზე რაღა თქმა უნდა, ოლიმპურ თამაშებამდე დარჩენილ დროში თანამშრომლობის საკითხებზეც გაიმართა საქმიანი საუბარი და აღმოჩნდა, რომ რაც მათ აქამდე გაუკეთებიათ, ზღვაში წვეთი ყოფილა. საუბარი იყო ამერიკაში საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაზე ბუკლეტის გამოცემის თაობაზე, ჩვენი ოლიმპიელების ეკიპირებაზე, ატლანტაში ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაზე, იქვე „ქართული სახლის" დაქირავებაზე. ერთ-ერთი ქართველი სპორტსმენის ხანგრძლივ სტაჟირებაზე ამერიკაში, გაისად მარტში ატლა-



კელვინ ჰილი



ნორმა ჰესინგერი



ბობ უოლში

ნტაში საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე, საიდანაც შემოსული თანხა მთლიანად ოლიპიელებს მოხმარდებათ...

ბატონ ბობ უოლშს — ცნობილ ბიზნესმენს, მეწარმესა და სპორტულ სფეროში თვალსაჩინო მოღვაწეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტში საქმიანი საუბარი ჰქონდა დეპარტამენტისა და სეოკ-ის ხელმძღვანელებთან. გადაწყდა, რომ იგი ჩვენს ოლიმპიელებს დაეხმარება ან ეკიპირებით, ან ოლიმპიადაზე მათი ტრანსპორტირებით, ან რამდენიმე ასეული ათასი დოლარით. მან გამოთქვა სურვილი ჩვენს ოლიმპიელებს გადასცეს თავისი კომპანია **„Bob Walsh Enterprises"**-ის ნაწარმი — ვიტამინები და ნახევარვიტამინები. ამასთან, ბატონ უოლშს მოუგვარებია რვა წლის წინათ მძიმედ დაშავებული მსოფლიოს თასის მფლობელი აკრობატის ჯონდო მარიდაშვილის მკურნალობის საკითხი (რაც 130 ათასი დოლარი ღირს) ამერიკაში, რისთვისაც მას მთელს დედამიწაზე საუკეთესო ექიმთა ჯგუფი გამოუნახავს და ისინი მზად არიან უსასყიდლოდ უექიმონ ჩვენს სპორტსმენს. ახლა უოლში აგვარებს საკითხს, რათა ჰოსპიტალში წოლის თანხა (დღეში 1000 დოლარი) მინიმუმამდე შემცირდეს, მერე კი ამ ფულის გადამხდელის მოძებნასაც აპირებს. როგორც მან ბრძანა, ამას ერთ თვეში მოაგვარებს.

ბატონმა უოლშმა ჯონდო მარიდაშვილი შინაც მოინახულა, რითაც ძალზე გაახარა მისი ოჯახი.

ავთანდილ ბურასაშვილი

ავტორის ფოტოები

# ვაზაგაშვილს არ წაუგია

წინა „სარბიელში" შეცდომა გაგვეპარა: ძიუდოს ევროპის გუნდური ჩემპიონატის მიმოხილვისას ავღნიშნეთ, რომ გიორგი ვაზაგაშვილმა (65 კგ) დიდ ბრიტანეთთან მესამე ადგილზე შეხვედრისას თავისი შერკინება წააგო. სინამდვილეში, გიორგის ეს შეხვედრა, ისევე როგორც ყველა დანარჩენი, წმინდად მოუგია.. როგორც ძიუდოს ფედერაციიდან გვაცნობეს, ბრიტანეთთან შეხვედრისას გურამ მოდებაძე (71 კგ) დამარცხებულა.

ამგვარი შეჯიბრებიდან ინფორმაცია საქართველოში პრაქტიკულად არ მოდის. ჩვენების ამბებს უცხოური წყაროებიდან ვიგებთ ხოლმე. ამჯერადაც ასე მოხდა. ვაზაგაშვილის ამ ვითომდა მარცხის შესახებაც ცნობა ერთ-ერთ ევროპულ სააგენტოზე დაყრდნობით შევიტყვეთ. ამ უნებლიე, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო დაშვებული შეცდომის გამო გიორგის ბოდიშს ვუხდით. იმასაც დავსძენთ, რომ ვაზაგაშვილი, მსოფლიოსა და ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, ჩვენი აზრით, საქართველოს 1995 წლის საუკეთესო სპორტსმენობის უპირველესი კანდიდატია.

თემას ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატით დავამთავრებთ. პრაღაში ჩვენიანებიდან მხოლოდ ტარიელ მელელაშვილმა (68 კგ.) გამოიჩინა თავი — V ადგილი.

**შაბათს, 21 ოქტომბერს, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ოფისში (დავით აღმაშენებლის, 65) პრეს-კონფერენციას გამართავს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი ჟაკ როგი. დასაწყისი 9 საათსა და 30 წუთზე.**

# ორი სათაური რა საჭიროა?

**დინამო 3:0 შევარდენი**

დინამო: ზოიძე, ფირცხალავა, კობიაშვილი, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ჯამარაული, კერძევაძე (გამცემლიძე 59), ხომერიკი, დემეტრაძე (ანჩაბაძე 66).

ლოკომოტივი-შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, ქველაძე, თამაზაშვილი, ყორყიკაშვილი (მინდიაშვილი 46), ჯელაძე, დათვაძე, გოგოლაძე (ხეტეშვილი 64), ქოიავა (მაზანაშვილი 33), მოსულიშვილი.

გოლი: 1:0 ხომერიკი (31), 2:0 ხომერიკი (60), 3:0 გამცემლიძე (71)

გაფრთხილება: ჯელაძე

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

მატჩამდე „შევარდენის" (თუ „ლოკომოტივის") ხელმძღვანელები მოვინახულე და მათგან შევიტყვე, რომ გუნდს უკვე ოფიციალურად დარქმევია „ლოკომოტივი-შევარდენი". გვთხოვეს, ამიერიდან გაზეთშიც ასე მოგვიხსენიეთო. ისიც დასძინეს, მეორე წლიდან სახელად მარტო „ლოკომოტივილა" დარჩებაო. მადლობის მეტი რა ეკუთვნის იმ ხალხს, ვინც ფეხბურთის გუნდს, ამ შემთხვევაში „შევარდენს", გაჭირვების ჟამს მხარში ამოუდგა და გადაარჩინა, მაგრამ, სხვისი არ ვიცი, მე კი მაინც ვერ წარმომიდგენია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი „შევარდენის" გარეშე. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს გუნდი უძველესია საქართველოში და მის გაქრობასთან ერთად ტრადიციაც დაიკარგება. არადა, „შევარდენის" პრეზიდენტს ზურაბ ქიტიაშვილს კარგად ეიცნობ და ვიცი, რომ იგი „შევარდენის" გაქრობას არ დაუშვებს. ამ თემაზე ჩვენს გაზეთში არაერთი წერილი დაბეჭდილა და ისეთი პირი უჩანს, მომავალშიც არაერთი დაიბეჭდება. ახლა კი ვიკმაროთ ამის თაობაზე საუბარი და მეათე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი მიმოვიხილოთ...

მატჩის წინ ბი-ბი-სის ჟურნალისტები გოჩა ჯამარაულს საკმაო ხანს ესაუბრნენ და მასთან ინტერვიუ ფირზეც აღბეჭდეს. ვერ გეტყვით, რა მიზნით მოიმოქმედეს ინგლისელებმა ეს, საქართველოზე რომ ფილმს იღებენ იმისთვის, თუ სხვა რამეა, მაგრამ ადრესატი რომ სწორად შეარჩიეს — ნაღდია. გოჩამ ჩვეული, „ტიროლური" გარღვევებით აღაფრთოვანა მაყურებელი და „დინამოს" მოგებაშიც ლომის წილი დაიდო, ისევე, როგორც გოგიჩაიშვილმა, რომელიც ისე შეეთვისა მარცხენა ფლანგს, ვინძლო, აქ დამკვიდრდეს. დინამოელთა ქომაგთათვის გასახარი იყო ხომერიკის „გახსნაც": სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ დიდ იმედებს ამყარებდა ბათუმელ ფორვარდზე, მაგრამ ლევანს ადაპტაცია გაუგრძელდა და, ჩემი აზრით, სწორედ ამ თამაშში გამოაჩინა, რაც შეუძლია, ის კი არა, ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ერთხელაც იჩქარა, თექვსმეტიოდე მეტრიდან ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ აბუსერიძემ ივარგა და კუთხურზე მოიგერია. მატჩი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა კარგი სანახავი, როცა ყიფიანმა მინდორზე ანჩაბაძე და გამცემლიძე შემოიყვანა. ამათ ჯამარაულთან ერთად ის სამეული შეკრეს, თამაშის გაძღოლა რომ შეუძლია, ჰოდა,, შეხვედრაც უფრო გალაღდა. ლამაზი იყო მესამე გოლიც — უფრო გოგიჩაიშვილის დამსახურებული საჯარიმო მარცხენა ფრთიდან ჩაწოდდა და გამცემლიძემ ბრიტანულ სტილში თაურით შეაგდო.

რაც შეეხება შევარდნელებს (თუ ლოკომოტიველებს), ამათ აშკარად „დინამოს" შიში სჭირდათ და მინდორზეც მეტად უსუსურად გამოიყურებოდნენ. „სტუმართა" ერთადერთი „კოზირი" მათი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე გახლდათ, რომელიც სათადარიგოთა სკამიდან დროულ და სწორ მითითებებს იძლეოდა. ერთ შემთხვევაში კი, როცა ერთ-ერთი დინამოელი დაშავდა, ჯანელიძემ ბურთის მფლობელ თავის მოთამაშეს გასძახა, აუტზე გადააგდეო, რაც ერთობ ჯენტლმენური ჟესტია, დამეთანხმებით. ჯონი ჯანელიძე იმითაცაა ცნობილი, რომ სუსტ გუნდებს ჩაუდგება ხოლმე სათავეში და მერე აძლიერებს, ის კი არა, განსაკუთრებით „ეხერხება" დინამოელთა დამარცხება. მაგრამ თუ იმ დღეს ეს ასე არ მოხდა, უპირველესად დინამოელთა დამსახურება გახლდათ, რომელთაც მეტად მობილურად ითამაშეს.

ისე, „შევარდენი" მართლა უიღბლო გუნდი ყოფილა: როცა საპრიზო ადგილებზე გადიოდა — ევროთასებზე ქართულ გუნდებს არ უშვებდნენ, „თეთრ არწივს" შეუერთდა და — გიორგი ყარყარაშვილზე ტერორისტული აქტიც განხორციელდა. ახლა რკინიგზამ შეიფარა და მთლად უფროსი პასუხისგებაში მისცეს. გუნდის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ირწმუნება, ეს გუნდს ხელს არ შეუშლის და „ლოკომოტივი-შევარდენს" კვლავაც ძველებურად დააფინანსებენ.



ლევან ხომერიკმა ორი გოლი გაიტანა

მამუკა კვარაცხელია

ვარლამ გინგიურის ფოტო

# ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ

**სამტრედია 3:1 მარგვეთი**

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჩუა, ჯელაძე, ბერაძე, ბ. დარასელია, გოგიაშვილი, ფანჩულიძე, დ. ჯანაშია, გ. დარასელია, ჩხაიძე

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლანჩავა, ფოცხვერაშვილი, კაკუბავა, სულაკაძე (წიკლაური 40), ჩხეტია (გენაძე 55), ნ. კიკნაძე, ენდელაძე

1:0 იონანიძე (47), 2:0 გ. დარასელია (84), 2:1 ენდელაძე (87 პ), 3:1 გ. დარასელია (89)

გაფრთხილება: კიკნაძე, ლანჩავა, კაკუბავა, ფოცხვერაშვილი

გაძევება: ფანჩულიძე, ლანჩავა, გურიელიძე

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)



გიორგი დარასელია

წლევანდელი ჩემპიონატი რომ შარშანდელზე საინტერესოდ მიმდინარეობს, ეს ცხადია და ვინც თვალყურს ადევნებს მის მსვლელობას, ამაში, ალბათ დამეთანხმება. ევროპულ თასებზე თამაში გუნდებისთვის რომ საუკეთესო სტიმულია, „მარგვეთის" მაგალითზეც კარგად ჩანს. შარშანდელი მაჩანჩალა წელს ერთობ მოლონიერებულა და, როგორც ჩანს, მადაზეც მოსულა. წინასწარ ვიტყვი, რომ მატჩი უაღრესად დაძაბულ, ნერვიულ ვითარებაში ჩატარდა და მთავარ მსაჯს მეტოქეთა დასაშოშმინებლად სამი წითელი და ოთხი ყვითელი ბარათის ჩვენებამ მოუწია.

სამტრედიელებმა თავიდანვე შეტევა არჩიეს და ფლანგებსაც აქტიურად იყენებდნენ. გიორგი და ბადრი დარასელიების, აგრეთვე გიორგი გოგიაშვილის აზრიან თამაშს ცენტრში მარჯვნივ დავით ჯანაშია და მარცხნივ გელა ფანჩულიძეც უბამდნენ მხარს. მარგველები კი, კონტრშეტევების იმედად მყოფნი, მეტოქეს მჭიდროდ, ჯარიმის ზღვარზე ეთამაშებოდნენ. თუმცა, არც იმის თქმა იქნებოდა, თითქოს სტუმრები მხოლოდ დაცვით იყვნენ დაკავებულნი. პირიქით, პირველი სახიფათო მომენტი სწორედ ზესტაფონელებმა შექმნეს და ზვიად ენდელაძეს ოდნავ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, ძელის ნაცვლად ჭანტურიას კარის ბადეს „შეაწუხებდა" და ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა შეხვედრა. სამტრედიელები მიხვდნენ, რომ მეტი აქტიურობა იყო საჭირო და შორეული დარტყმებით შეეცადნენ მარგველთა კარის დალაშქვრას, თუმცა იმ დღეს ვეფხია გვენცაძე (მისი სამტრედიელი კოლეგისა არ იყოს) ბრწყინვალედ თამაშობდა.

35-ე წუთზე გიორგი დარასელიამ გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგა — მეკარესთან პირისპირ გასულს ბოლო მომენტში გაბრიჭიძემ აართვა ბურთი.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში დატრიალდა. მასპინძლები გააქტიურდნენ, უფრო მწვავედაც შეუტიეს და მალე იონანიძემ გოლიც გაიტანა: მეკარის საჯარიმოში მდგომმა ჯერ ჯანაშიას გადაცემა მიიღო, მერე კი უძალო, მაგრამ ზუსტი დარტყმით გვენცაძე ადგილზე გააშეშა — 1:0.

გასამარჯვებლად განწყობილ ზესტაფონელებს მოვლენების ასეთი განვითარება ნამდვილად არ აძლევდა ხელს. მალე ენდელაძემ მეორედ „დაუმიზნა" ძელს, რასაც იონანიძის საპასუხო „ჩხვლეტა" მოჰყვა. ამას გიორგი დარასელიამ ეფექტური მაკრატელა დაუმატა. 66-ე წუთი: იონანიძე-გ. დარასელიას სწრაფი კომბინაცია მაღლაკელიძემ კინაღამ საკუთარი კარის აღებით დაასრულა. კიდევ კარგი, ისევ გვენცაძემ იყოჩაღა. იქვე ფანჩულიძემ მშვენივრად შეასრულა „ხმელი ფოთოლი". მეკარე კვლავ დიდებულად თამაშობს.

ერთი სიტყვით, მეორე ნახევარი საკმაოდ მაღალ ტემპში, ლამაზ და საინტერესო ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. თუმცა, ბრძოლის ჟინი ხშირად უხეშობაში გადადიოდა. სერგო კვარაცხელიამ მოედანი პირველად გელა ფანჩულიძეს დაატოვებინა, რომელიც ფოცხვერაშვილთან მხოლოდ სიტყვიერ „ჩასიყვარულებას" არ დასჯერდა. ამის შემდეგ მარგველებს რაღა გააჩერებდა? აიწყვიტეს ჩუბინიძის ბიჭებმა და ახლა ჭანტურიას მოუხდა ოსტატობის ჩვენება — წიკლაურის უძლიერესი დარტყმის შემდეგ როგორ მოახერხა სამტრედიელთა კაპიტანმა ცხრიანიდან ბურთის ჩამოხსნა, ძნელი სათქმელია.

შეტევებით გართულმა სტუმრებმა უყურადღებოდ დატოვეს დათო ჯანაშია და იგი მეკარესთან ეულად რომ არ დაეტოვებინა, ლანჩავამ მოცელა. კვარაცხელიამ მეორედ მოიძია წითელი ბარათი, რასაც მალე გურიელიძის გაძევებაც დაერთო და მეტობაში მყოფმა მასპინძლებმა საქმე ლოგიკურად დაასრულეს. მართალია, გიორგი დარასელიას ორ მშვენიერ გოლს სტუმართა საუკეთესო თავდამსხმელმა ზვიად ენდელაძემ პენალტით უპასუხა, მაგრამ ეს იყო და ეს, ჩემპიონატის ლიდერმა მეტი ვერაფერი გააზერხა და რვამატჩიანი მოგებათა სერიაც შეწყვიტა.

თამაშის შემდეგ პირველად გიორგი დარასელიას გავესაუბრე. მან მარტო გოლებით როდი გამოიჩინა თავი — მასპინძელთა ყველა შეტევის სულისჩამდგმელიც იყო.

**გიორგი დარასელია:** ლიდერთან შეხვედრისას ყოველთვის მეტი სტიმული მაქვს, მითუმეტეს, რომ დაწინაურების შანსი გვეძლეოდა, ჰოდა, ბოლომდე დავიხარჯეთ და შედეგსაც მივაღწიეთ.

**კახა ელაშვილი,** „სამტრედიის" მთავარი მწვრთნელი: შედეგით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ. ლიდერს დამაჯერებლად მოვუგეთ. მსაჯობაც ისეთი იყო, ნებისმიერ მატჩზე ვისურვებდი. არცერთ მხარეს არ უნდა გვქონდეს მის მიმართ პრეტენზია. ბიჭები გაფრთხილებული მყავდა, სერგო კვარაცხელია არც ყვითლებზე დაიხევს უკან, არც წითელზე-მეთქი. ასეც მოხდა. მე ჩემს ფეხბურთელებს არ ვამართლებ, იმათზე კი „მარგვეთის" მწვრთნელმა ილაპარაკოს.

**— ვის გამოარჩევდით თქვენ გუნდში?**

— ყველამ ერთნაირად, გულით ითამაშა და არ ღირს ვინმეს გამორჩევა. თითოეულმა მშვენივრად ითამაშა და თავისი შესაძლებლობა ბოლომდე გამოავლინა.

**ზვიად ენდელაძე,** ერთადერთი საპასუხო გოლის მიუხედავად, მაინც არ ჩანდა მოედანზე.

— შეიძლება თამაში იმიტომ არ წამივიდა, რომ მოგებაზე ბევრს ვფიქრობდით და ამან ფსიქოლოგიურად გამოგვფიტა — დაძაბულები ვიყავით. ასეთ დროს კი ძნელია თავის გამოჩენა.

„მარგვეთის" მთავარი მწვრთნელი **ზაურ ჩუბინიძე** უკმაყოფილო გახლდათ არბიტრის მოქმედებით: კვარაცხელიამ ძალზე არაობიექტურად იმსაჯა. იგი მარტო ჩვენს მიმართ როდი იყო არაობიექტური — სამტრედიელებიც არასწორად დასაჯა. ვერ ვიტყვი, რომ იგი მასპინძლებს ემხრობოდა.

**— აბა, რა მიზანი უნდა ჰქონოდა კვარაცხელიას?**

— რა ვიცი, რა მიზანი ჰქონდა? ალბათ, რაღაცა ამოძრავებდა.

**— რომ არა მისი შეცდომები, გაიმარჯვებდით?**

— ჩვენს ჩემპიონატში მოგება ნებისმიერ გუნდთან შეიძლება, მითუმეტეს, დღეს მოსაგებად ვიყავით ჩამოსული.

**— თქვენი გუნდის თამაშმა დაგაკმაყოფილათ?**

— „მარგვეთმა" დღეს მართლაც სუსტად ითამაშა, თუმცა, ამას მსაჯმაც შეუწყო ხელი.

როგორც ხედავთ, არბიტრის ნამოქმედარმა მარგველთა პრეტენზიები გამოიწვია. სერგო კვარაცხელიას მსაჯობა მართლაც აღსანიშნავია, იმედია, ბატონ ზაურ ჩუბინიძე არ მიწყენს, თუ საწინააღმდეგო აზრს გამოვთქვამ. ბუნებრივია, ჩვენთვის უცხოა მსაჯის ასეთი სიმკაცრე. მან ხომ მოთამაშენი ბოლო იმედის ჯარიმისა და მაყურებელთა შეურაცხყოფისთვის გააძევა, რაც საქართველოში ჯერ კიდევ უცხო მოვლენაა. სერგო კვარაცხელია კი სამტრედიაში ევროპელი რეფერივით მოქმედებდა, სამართლიანად და უაპელაციოდ არიგებდა ბარათებს, თუმცა ლიდერთა მწვრთნელს ეჭვი ალბათ იმიტომ გაუჩნდა, რომ „კოლხეთთან" და ბათუმთან მნიშვნელოვანი შეხვედრების წინ წაყვანი მოთამაშეების გამოკლებით „მარგვეთის" შანსები შემცირდა. ძნელი კია ასეთ დროს მწვრთნელის გამტყუნება — წაგებულ კაცს თავში ათასი ეჭვი გაუჩნდება — თუმცა, ვიმეორებ, ჩემი აზრით, სერგო კვარცხელიამ კარგად იმსაჯა. ამის დასტურად ისიც იკმარებს, რომ კვარაცხელიამ პირველად სამტრედიელი ფანჩულიძე გააძევა, როდესაც ანგარიში 1:0 იყო და ზესტაფონელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. რით იყო გამოწვეული მსაჯის ასეთი სიმკაცრე?

**სერგო კვარაცხელია:** არ მესმის, როდემდე უნდა ვანებივროთ ფეხბურთელები ჩვენი ლიბერალობით? გავლენ მერე ევროპაში და უკვირთ, ბარათებს წვიმასავით რომ აყრიან. დროა, ევროპელ მსაჯებს მივბაძოთ. ამ მხრივ ისინი სამაგალითონი არიან. მართალია, ზესტაფონელები დღეს გამინაწყენდნენ, მაგრამ იმედია, მალე ყველა მიხვდება, რომ მოედანზე ნამდვილი მსაჯია და არა მაყურებლისა და მასპინძლებისგან დათრგუნული პიროვნება. ეს ისევ ჩვენი გუნდებისთვის არის უკეთესი, ევროპაში ნორმალურ მსაჯობას აღარ იუცხოვებენ.

მერაბ მამულაშვილი

სამტრედია — თბილისი

გია ახალაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დათო ჯანაშია ფიზიკაში უნდა მოემზადოს



ვინც თვალს ადევნებს „სამტრედიის" მატჩებს, უთუოდ გამოარჩევდა დავით ჯანაშიას. ამ ბოლო ხანს თავდასხმაში „გადასროლილი" ეს მარჯვენა ნახევარმცველი სწრაფი, ელვისებური გარღვევებით დიდ ხიფათს უქმნის მეტოქეს. ტყუილად როდი დაინტერესდა მისით ნაკრების ხელმძღვანელობაც, თუმცა დათოს ჯერ არცერთი ოფიციალური შეხვედრა არ ჩაუტარებია ეროვნულ გუნდში. ბულგარელებთან მატჩის წინ საკმაო შესვენების შემდეგ იგი კვლავ გამოიძახა ჩივაძემ, რადგან დათო წლევანდელ სეზონში გუნდის ერთ–ერთ ლიდერად იქცა კარგი თამაშის წყალობით.

**— მურთაზ ხურცილავასა და რამდენიმე წამყვანი მოთამაშის „სამტრედიიდან" წასვლის მიუხედავად, გუნდი მაინც წარმატებით გამოდის ჩემპიონატში...**

— ჩვეულებრივად ვთამაშობთ. შესაძლოა, შარშანდელზე ოდნავ უკეთ, თუმცა დიდ სხვაობას ვერ ვხედავ. ეგაა, ტაქტიკა შევცვალეთ: 4-5-1—ს 4-4-2 ვამჯობინეთ და როგორც ჩემპიონატის მსვლელობამ დაგვანახა, ჩვენთვის ეს გამართლებულიც აღმოჩნდა.

**— რატომ?**

— ამჟამად „სამტრედიაში" ისეთი მოთამაშეები არიან, რომ, ჩემი აზრითაც, ასე სჯობს. ჩვენმა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კახა ელაშვილმა იიანაძის დასახმარებლად თავდასხმაში წამწია, ჩემს ადგილზე, მარჯვენა ნახევარმცველად კი ბესო ამაშუკელი დააყენა. ეს, უპირველესად, ჩემთვის იყო სასურველი ცვლილება, რადგან თავდასხმაში უფრო ლაღად ვგრძნობ თავს და უფრო უკეთესადაც გამომდის საქმე.

**— სხვა რა შეცვალა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, თუნდაც ვარჯიშებზე?**

თითქმის ყველა ვარჯიში თამაშს მივუახლოვეთ, ყოველდღე ორჯერ ვვარჯიშობთ და შეუდარებლად მრავალფეროვნადაც. ბუნებრივია, დატვირთვებიც გაგვეზარდა. კახა ელაშვილი „ვარდართან" ბათუმში შეხვედრის შემდეგ დაგვინიშნეს მთავარ მწვრთნელად და, არ მახსოვს, ორი ერთნაირი ვარჯიში ჩაგვეტარებინოს. საერთოდ, მგონია, რომ ფეხბურთელს ვარჯიში უნდა სიამოვნებდეს, რაც უნდა დამღლელი იყოს. ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ ახლა სწორედ ასეთი ვითარებაა — მრავალფეროვანი და სასიამოვნო ვარჯიშები გვაქვს.

**— წელს შარშანდელზე უკეთ გამოიყურები. ეს მხოლოდ ამპლუის შეცვლამ გამოიწვია?**

— ამანაც და ცვლილებებმაც საწვრთნელ პროცესში. თავდასხმა მაინც ჩემი ადგილია და აკი გითხარი, თავს უფრო ლაღად ვგრძნობ.

**— დაკვირვებული ვარ, ძალზე არასტაბილურად თამაშობ. ამის მიზეზი, ალბათ, ეს შეიძლება იყოს — ფიზიკური მოუმზადებლობა ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა...**

— მიზეზი უფრო დაბალი ფიზიკური კონდიციებია. სტაბილურად თამაშობენ მხოლოდ ვარსკვლავები, რომელთაც მზადების ყველა პირობას უქმნიან. ან კი დამისახელებთ საქართველოში ბევრ ისეთ ფეხბურთელს, ჩავარდნა რომ არ ჰქონდეს?

რაც „ტორპედოდან" „სამტრედიაში" გადმოვედი, სეზონისთვის ნორმალურად ერთხელაც არ მოვმზადებულვარ. რასაც სამტრედიაში ვაღწევ, ისევ ქუთაისიდან შემორჩენილი მუხტის წყალობითაა. საერთოდ რეზო ბურკაძემ იცის გუნდის მომზადება და მიმაჩნია, რომ იგი საქართველოში ერთ–ერთი საუკეთესო მწვრთნელია: მცოდნე, მომთხოვნი, და ფეხბურთელების გამგები. გუნდში ისეთ ვითარებას ჰქმნის, ყველა მოთამაშე შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენს.

**— სიტყვამ მოიტანა და, წელს „ტორპედოსთან" შეხვედრაში სწორედ შენ გამოიჩინე თავი — რომ არა შენი ორი გოლი, სამტრედიელები დამარცხდებოდნენ. ერთგვარი უხერხულობა ხომ არ გიგრძვნია?**

— ქუთაისი ჩემი მშობლიური ქალაქია და, ბუნებრივია, მასზე მეტად არცერთი ქალაქი არ მიყვარს, ისევე, როგორც „ტორპედო", რომელშიც ფეხიც ავიდგი და დიდ ფეხბურთშიც გავიკვალე გზა. „ტორპედოში" ბევრი მეგობარი მყავს და სულით და გულით ვგულშემატკივრობ. რაზეა ლაპარაკი, არა მგონია, ვინმეს ჩემზე მეტად გაუხარდეს „ტორპედოს" მოგება. მაგრამ მე პროფესიონალი ვარ და, რადგან ასეა, სადაც ვთამაშობ, იქ უნდა გავიხარჯო ბოლომდე. იმედია, ჩვენებურებს ეს საწყენად არ დარჩებათ.

**— წელს „ტორპედო" კარგად თამაშობს და, ეტყობა, მადაზეც მოვიდა. ბურკაძე ქუთაისელებზე აკეთებს აქცენტს, ბუნებრივია, გუნდის გაძლიერებაც ესურვება. შენ, ქუთაისელი კაცი დღესვე რომ მოგიწვიოს, რას იზამდი?**

— რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ძნელია გადაწყვეტილების მიღება. „სამტრედია" მშვენიერი გუნდია, დიდი მიზნები და სურვილებიც აქვს, მაგრამ ქუთაისელი კაცი სად მოვძებნი „ტორპედოზე" უკეთეს გუნდს? ალბათ, დავბრუნდები, სახლთან და მეგობრებთან ახლოს ვიქნები, ეს კი მოთამაშისთვის ბევრს ნიშნავს.

**— ისევ „სამტრედიას" დავუბრუნდეთ. წმინდა პროფესიულ ცვლილებებზე უკვე თქვი. საინტერესოა, ფსიქოლოგიურად როგორი ვითარებაა გუნდში?**

— მოკლედ ვიტყვი: შარშანდელთან შედარებით უკეთესი.

**— შარშანდელივით ჩემპიონობას უმიზნებთ?**

— უეჭველად. მართალია, ჯერ საამისოდ კარგი ბაზა არ გაგვაჩნია, თუმცა საქართველოს პირობებში საწუწუნოდ არა გვაქვს საქმე. კარგი კვება გვაქვს, კარგი მწვრთნელი გვავარჯიშებს და ისევ ჩემპიონობაზე ვფიქრობთ. შარშან ამაში, ჩემი აზრით, არაობიექტურმა მსაჯობამაც შეგვიშალა ხელი. თანაც არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ეს ყველაფერი მიჩქმალა: რატომღაც ხალხის ნაწილი თვლის, რომ არ შეიძლებოდა „სამტრედია" ჩემპიონი გამხდარიყო. ეს ჩემთვის გაუგებარია. მაშინ რაღა აზრი აქვს ჩემპიონატს? რა არის ცუდი იმაში, რომ თბილისელები, ქუთაისელები, ბათუმელები, ფოთელები და სამტრედიელები ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ?! ამით ხომ ქართული ფეხბურთის დონეც აიწევს.

**— ვინც წელს „სამტრედიიდან" წავიდა, მიზეზად პირობებით უკმაყოფილებას ასახელებდა. რადგან შენ დარჩი, ეტყობა, პირობები გაკმაყოფილებს...**

— უფრო სწორად, კარგის მოლოდინში ვარ. ვიცი, რომ კლუბის პრეზიდენტს გარკვეული შეფერხებები აქვს თავის საქმეში, მაგრამ, იმედი მაქვს, ტარიელ ჩაჩუა კონტრაქტის პირობებს შეასრულებს.

**— უკვე რამდენჯერ ითქვა „ვარდართან" თქვენი მარცხის მიზეზებზე. შენ რას აბრალებ წაგებას?**

— ჩემთვის ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ მეტოქეები ტაქტიკურად ჩვენზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი. არადა თავად დავრწმუნდი მოედანზე, რომ არც ფიზიკურად, არც ტაქტიკურად ისინი ჩვენ არ გვჯობდნენ.

**— აკი თქვი, კარგა ხანია, ფიზიკურად ნორმალურად არ მოვმზადებულვარო...**

— მართალია, ფიზიკურად ჯერ ვერა ვარ საჭირო დონეზე და ბევრი მუშაობაც მჭირდება საამისოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მაკედონიელები ჩვენზე მაგარი ბიჭები იყვნენ.

**— ყველა აღნიშნავს, რომ შენ მშვენიერი დრიბლინგით გამოირჩევი, თუმცა, დაბოლოებაში მოიკოჭლებ...**

— ეს იმის ბრალია, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ — ფიზიკურად რომ ვერა ვარ კარგ მდგომარეობაში, იმიტომ ხდება ასე. მეტოქის საჯარიმოში შესულს ძალა აღარ მყოფნის. ფიზიკურად რომ მოვმძლავრდე, ყველაფერი უკეთ გამომივა.

**— დარტყმებშიც მოიკოჭლებ...**

— თავისთავად დარტყმებში სულაც არ მოვიკოჭლებ. აკი გითხარი, ფიზიკური მომზადება ბევრს ნიშნავს. მკვდარი თუ ხარ, როგორ დაარტყამ კარში? საერთოდ, დაარტყამ კი?

მერაბ მამულაშვილი





# ტყუპებმა შური იძიეს

ადრე გაუწყეთ, რომ დავით ყიფიანის შუათანა ვაჟი ნიკა იზმირს გაემგზავრა „ალთაისთან" კონტრაქტზე ხელის მოსაწერად. მოხდა ისე, რომ თურქებმა ნიკას პირი უტეხეს, არც თავისთან დაიტოვეს, ტრანსფერის ბოლო დღემდე ალოდინეს და ვერც სხვა გუნდებმა იხეირეს. გამწარებული ნიკა თბილისს გამოემგზავრა და ფეხბურთის გაგონებაც აღარ უნდა. რაც სპორტში შეგვემთხვა თურქებისგან, ფეხბურთი იქნება თუ კალათბურთი, ჩემზე უკეთ მკითხველმა უწყის, მაგრამ კიჭები რის კიჭები იქნებოდნენ, ძმაკაცის შეურაცხყოფა ვინმესთვის ეპატიებინათ. შოთამ და აჩიმ ახლახან, ნაკრების შეკრებისას მითხრეს, აქედან რომ ჩავალთ, სწორედ იზმირში გვაქვს თამაში „ალთაისთან" და ნიკუშას მაგივრად იმათ ოხტში ჩვენ ამოვალთო. ასეც ქნეს — შოთამ ორჯერ გაამწარა იზმირელთა მეკარე, აჩიმ — ერთხელ, „ტრაბზონმა" კი 5:2 მოიგო სტუმრად და ახლა პირველ ადგილზეა, რაკიღა მდევარმა „ფენერბაჰჩემ" „დენიზლისთან" ნულოვანი ფრე ითამაშა...

# საფეხბურთო ტოტალიზატორი

# ლაპლას-ტოტო

## მატჩების სია — ტირაჟი № 04

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 22.10 | ბარსელონა — ვალენსია | ესპ. ჩემპ. |
| 2 | 22.10 | რეალი — ტენერიფე | ესპ. ჩემპ |
| 3 | 22.10 | ატლეტიკო — ესპანიოლი | ესპ. ჩემპ. |
| 4. | 22.10 | იუვენტუსი — პადოვა | იტ. ჩემპ. |
| 5 | 22.10 | ვიჩენცა — მილანი | იტ. ჩემპ. |
| 6 | 22.10 | პიაჩენცა — ნაპოლი | იტ. ჩემპ. |
| 7 | 22.10 | ბორუსია (მიონხ.) — ვერდერი | გერმ. ჩემპ. |

## №03 ტირაჟის შედეგები:

1. 1-1 2. 2-0 3. 2-1. 4. 4-1 5. 1-0 6. 2-2 7. 0-1

მოგებები: ხუთი მატჩი — 21 ლარი (10 ვარიანტი), ექვსი მატჩი — 136 ლარი (3 ვარიანტი). შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. **JACK POT** — 759 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში). რეგისტრაციის ბოლო ვადაა 21 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

## თამაშის წესები

1. ტოტალიზატორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთამაშემ სწორად გამოიცნოს შემოთავაზებული ფეხბურთის მატჩების ანგარიშები (ძირითადი დრო).

2. მატჩების სია განისაზღვრება შვიდი მატჩით და ცხადდება ტირაჟის ანონსში.

3. როგორც წესი, ჩატარდება კვირაში ერთი ტირაჟი.

კონკრეტულ ტირაჟში მონაწილე ბილეთების რეგისტრაცია წყდება წინასწარ გამოცხადებულ ვადაში, მაგარმ არა უგვიანეს ტირაჟში მონაწილე პირველი მატჩის ჩატარებისწინა დღისა.

5. როგორც წესი, მოგებისათვის აუცილებელია ხუთი, ექვსი ან შვიდი მატჩის ანგარიშის გამოცნობა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულ ტირაჟში რადენი მატჩის ანგარიშის გამოცნობა უზრუნველყოფს მოგებას, ცხადდება ტირაჟის ანონსში.

მოგების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კატეგორიის საპრიზო ფონდის ფარდობით ამ კატეგორიის მოგებული ბილეთების რაოდენობასთან.

7. იმ შემთხვევაში, თუ შვიდი (ან ნაკლები) ანგარიში ვერავინ გამოიცნო, ამ კატეგორიის (კატეგორიების) საპრიზო ფონდი გადადის და ემატება შემდეგი ტირაჟის საპრიზო ფონდს (**JACK-POT**).

8. მატჩების ნუმერაცია ბილეთში შეესაბამება მატჩების ნუმერაციას ტირაჟის ანონსში.

9. ბილეთები შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც უნდა შეივსოს ერთნაირად. რეგისტრატორის მიერ დამოწმებული ნაწილი **A** მიეცემა მოთამაშეს, ხოლო ნაწილი **B** რჩება რეგისტრატორთან, ბილეთების შევსებისას ყოველგვარი გადაკეთება და შესწორება დაუშვებელია. ამასთან, ბილეთებში შევსებული ანგარიშები უნდა ეწეროს მკაფიოდ, გამოკვეთილად და გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ რომლიმე ციფრის წაკითხვა გამოიწვევს კამათს, შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაითვლება არგამოცნობილად. პასუხისმგებლობა ბილეთის სწორად შევსებაზე ეკისრება მოთამაშეს. არასწორად შევსებული ბილეთები (ვარიანტები) გათამაშებიდან მოიხსნება ღირებულების აუნაზღაურებლად.

10. იმ შემთხვევაში, თუ მატჩი არ ჩატარდა (გადაიდო ან სხვა მიზეზით), ან ჩაიშალა (არ დამთავრდა) ან შეიცვალა მასპინძელი გუნდი — მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის შედეგი ჩაეთვლებათ გამოცნობილად, მიუხედავად მითითებული ანგარიშისა. თუ ასეთი მატჩების რაოდენობა ერთ ტირაჟში გადააჭარბებს სამს, მაშინ თითოეული (ყველა) ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მატჩის ანგარიშად ჩაითვლება 0-0. იმ შემთხვევაში, თუ მატჩის შედეგი დაფიქსირდა — გაპროტესტება მხედველობაში არ მიიღება.

11. კონკრეტული ტირაჟის კონკრეტულ მატჩზე (მატჩებზე) შეიძლება გამოცხადდეს „გაყიდვა". შესაბამისად, მოთამაშეს ეძლევა საშუალება ანგარიშის მითითების ნაცვლად „იყიდოს" მატჩი, რის შედეგადაც ამ მატჩის ანგარიში ჩაითვლება გამოცნობილად. ერთ ტირაჟში „გაყიდული" მატჩების რაოდენობა ვერ აღემატება სამს. ფასები გამოცხადდება ანონსში. მოთამაშე მატჩის „ყიდვის" საფასურს გადაიხდის ბილეთის ჩაბარებისას, ხოლო ბილეთის შესაბამის უჯრებში ციფრების ნაცვლად ხაზავს ჯვრებს X:X.

12. მოგებები გაიცემა ტირაჟის ბოლო მატჩიდან ერთი თვის განმავლობაში მისამართზე: ხეთაგუროვის 3, მე-3 სართული, ფირმა „ეკიზი".

ტელ: 95-21-40.

13. მოგებები გაიცემა წარდგენილი **A** ნაწილის საფუძველზე, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრატორის ხელმოწერა და რეგისტრაციის თარიღი.

# ტრადიციის გაგრძელების დასაწყისი

ალბათ მოვიდა დრო, ბავშვთა ფეხბურთში ბოლო ხუთი წლის მუშაობის შედეგებიც მოვიმკოთ. ადრე კოტე დოლიძის ხელმძღვანელობით „ვაკე 91"-ის მიერ დანიაში „დანა-კაპზე" ღირსეულად გამოსვლის ამბავი გაუწყეთ, ახლა კი ჩვენი ახალგაზრდული ფეხბურთის ტრადიციული ფლაგმანის წარმატება გვინდა გაცნობოთ. ახლახან გატყობინებდით, რომ ჩვენი ბავშვების ორი გუნდი — „ნორჩი დინამოელისა" და 35-ე საფეხბურთო სკოლისა ესპანეთს მიემგზავრებოდნენ. ისინი ახლახან დაბრუნდნენ ბარსელონიდან და ჩვენც დინამოელთა ახალგაზრდა მწვრთნელს გელა გომელაურს მივაკითხეთ.

**— ბარსელონის საყმაწვილო ტურნირი უეფამ მოაწყო და ამიერიდან ყოველწლიურად აპირებს მის დაფინანსებას. შეჯიბრება ბარსელონიდან 50 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ მალგრადტში ჩატარდა 7-დან 14 ოქტომბრამდე. მასპინძლებმა მომზადებისთვის ჩინებული პირობები შეგვიქმნეს. ჩვენი გუნდი, რომელსაც მე და თენგიზ სულაქველიძე ვხელმძღვანელობდით, 1983-84 წლებში დაბადებული ბავშვებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენს ასაკში ორ ქვეჯგუფად დაყოფილი ექვსი გუნდი გამოდიოდა. პირველი მატჩი გერმანიას „შოლდეს" მოვუგეთ 14:0; მერე ესპანეთის „მალგრადტი" დავამარცხეთ 8:0 და ფინალშიც გავედით. იქაც გერმანული გუნდი „ვაშენჰეიმი" გველოდა. მაინცდამაინც არც მათთან გაგვჭირვებია — 6:0 მოვიგეთ და ჩვენს ასაკში გამარჯვებულისთვის დაწესებული ლამაზი პრიზი მოვიპოვეთ. ჩვენი გუნდის კაპიტანი დიმიტრი ტატანაშვილი 10 გატანილი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი და თავდამსხმელი გახდა.**

**— თქვენთან ერთად 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდიც იყო ესპანეთში. მათ როგორ ითამაშეს?**

— 35-ელები 1981-82 წლებში დაბადებული ბავშვებით გამოემგზავრნენ ტურნირზე გოჩა ავსაჯანიშვილისა და ოთარ შენგელიას ხელმძღვანელობით. მათ ასაკში 8 გუნდი იყო ორ ქვეჯგუფად დაყოფილი. ჩვენებმა ფინალს მიაღწიეს, სადაც მეტად დაძაბულ ბრძოლაში წააგეს გერმანელებთან 0:1. ეს ერთადერთი გოლიც ბოლო წუთზე გაუშვეს. მაგრამ მასპინძლებს ჩვენების ოსტატობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და გიორგი მანწკავა საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს...

**— სხვა რა იყო საინტერესო ტურნირზე?**

— საქართველოს ნაკრების ბულგარეთზე გამარჯვების ამბავმა იქ მოგვისწრო. ამან ლამის გადარია სიხარულით გერმანელები, რომლებიც მრავლად იყვნენ ტურნირზე. შევატყვე, გერმანელები ქართული ფეხბურთისადმი დიდ დაინტერესებას იჩენენ და ჩვენი ყველა წვრილმანიც კი აინტერესებდათ. ჩემი დაკვირვებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დიდი ავტორიტეტი აქვს უეფაში და ტურნირის ორგანიზატორებმა მოგვიბოდიშეს, მომავალი წლიდან ორი რა არის, საქართველოს გაცილებით მეტ წარმომადგენელს მოვიწვევთო...

**— ხშირად ისეც ხდება, ამგვარ ტურნირებზე მსაჯები ჩვენ გუნდებს არ სწყალობენ, ამჯერად როგორღა იყო საქმე?**

— მსაჯობა იდეალური იყო, იქ დავინახე, რა ოსტატობით შესძლებიათ უცხოელებს მატჩის გაძღოლა. ფეხბურთელი სწორედ ასეთი მსაჯობის პირობებში გაიზრდება...

**— ბავშვები პირველად იყვნენ უცხოეთში და რაიმე გაუგებრობას ან ინციდენტს ხომ არ გადაყრიხართ?**

— ჩვენები მოქცევითაც სამაგალითონი იყვნენ. მიკვირდა კიდეც, ზოგი გერმანული გუნდი ისე ხმაურობდა და იქცეოდა, გაუზრდელების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ...

მამუკა კვარაცხელია

## ჩემპიონთა ლიგა

III ტური. 18 ოქტომბერი

### „ა“ ჯგუფი

ნანტი — ოლბორგი 3:1

პორტუ — პანათინაიკოსი 0:1
მარკოსი (41)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 4 |
| ნანტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| ოლბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### „ბ“ ჯგუფი

რუსენბორგი — სპარტაკი 2:4
ლოკენი (2), პრატბაკი (45); ალეინიჩევი (59), ნიკიფოროვი (66), კეჩინოვი (75, 82)

ლეგია — ბლექბერნი 1:0
პოდბროჟნი (26)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| ლეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| ბლექბერნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

### „გ“ ჯგუფი

იუვენტუსი — გლაზგო რეინჯერსი 4:1
მური (14 საკუთარ კარში), კონტე (15), დელ პიერო (22), რავანელი (74), ფერარა (77, საკუთარ კარში)

დორტმუნდი — სტიაუა 1:0
რიკენი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| დორტმუნდი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| სტიაუა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| რეინჯერსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

### „დ“ ჯგუფი

რეალი — ფერენცვაროში 6:1
რაული (24, 25, 84), სამორანო (34, 36), იერო (57); კოპუნოვიჩი

აიაქსი — გრასჰოპერი 3:0
კლუივერტი (12, 68), ფინიდი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-2 | 6 |
| ფერენცვაროში | 3 | 1 | 0 | 2 | 5-11 | 3 |
| გრასჰოპერი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |



ტურის გმირი რაული

# „იუვე“, „აიაქსი“ და ბევრი გოლი

ალალია ნორვეგიელებზე დიდი თხილამური, დიდი ფეხბურთი კი ჯერჯერობით... მართალია, ამ ბოლო დროს „ხალხში“ გაერივნენ, ნაკრებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაიყვანეს და აგერ „რუსენბორგი“ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ მეტისა რა მოგახსენოთ. გულზე ხელი რომ დავიდოთ, მაშინაც კი, როდესაც „სპარტაკთან“ პირველი ტაიმის მერე შესასვენებლად ორგოლიანი უპირატესობით მიდიოდნენ (2:0), ჰაერში მათთვის რაღაც ხიფათის სუნი ტრიალებდა. სუნი, მოგეხსენებათ, არაფრისგან სულაც არ მოდის. გამოვიდნენ მეორე ტაიმში რუსები და ნორვეგიის ჩემპიონი სულ ცხარე ცრემლით ატირეს. ასეა, როდესაც ერთმა, მიუხედავად მისთვის ცუდი ანგარიშისა, იცის, რომ მეტოქეზე ძლიერია, მეორე კი იგებს, თან საკუთარ თვალებს არ უჯერებს და საათზე დახედვისა ეშინია, რა დრო დარჩენილა, ნაღდად რაღაც უკუღმართი მომივაო. არადა, ანგარიში „რუსენბორგმა“ მეორე წუთზე გახსნა. ეს ოთხშაბათს ერთდროულად დაწყებულ რვა თამაშში პირველი გოლი იყო. იაკობსენმა მარცხნიდან დაბლა ჩააწოდა, ქალაქ ტრონდჰეიმის გუნდის ერთი მოთამაშე ბურთს ასცდა, მეორემ, კარლ პეტერ ლოკენმა კი მას დროზე მიუსწრო — 1:0. მეორე გოლი მასპინძლებმა ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანეს. პასი კვლავ იაკობსენმა შეასრულა, საბოლოო დარტყმა კი პრატბაკმა. „სპარტაკს“ მეორე გოლის გაშვებამდე შეეძლო გაექვითა, მაგრამ ბედმა, რომელიც ძლიერებს უღიმის, ძალ-ღონე მეორე ტაიმისთვის შემოინახა. შესვენების შემდეგ მეთოთხმეტე წუთზე ალეინიჩევმა შეაგდო, შვიდ წუთში კი შესვენებამდე სათადარიგო კეჩინოვმა გამოიჩინა თავი. ჯერ ერთი „საცდელი“ პირისპირ შესვლა გოლად ვერ აქცია, მერე კი მიზანი გაასწორა და მეტოქის საჯარიმოში კიდევ ორი, დიდებული გამარჯვების შეჭრა შეასრულა.

ამავე ქვეჯგუფში ვარშავის „ლეგიამ“ ყველასგან დაბრიყვებულ ინგლისის ჩემპიონ „ბლექბერნს“ 1:0 მოუგო.

„ა“ ჯგუფში „პანათინაიკოსი“ კიევის „დინამოს“ გაძევებამ და უკრაინის დედაქალაქში წაგებული პირველი თამაშის გაუქმებამ, როგორც ჩანს, ისე გაახალისა, წინა ტურში ხომ შინ საფრანგეთის ჩემპიონს „ნანტს“ ადინა ბდღვირი (3:1), ახლა „პორტუს“ ეწვია და გმირობა ჩაიდინა. სანამ თერთმეტი თერთმეტზე თამაშობდნენ — არაფერი, როგორც კი ფილმ „რეკორდის“ ერთ-ერთი გმირის ენით რომ ვთქვათ, „სპორტული აფერისტობისთვის“ ალექსუდისი გაუძევეს (საჯარიმოში ბურთს თავი მიანება და გასრიალებულ მეტოქეს შეეგება, ინერციით წამაქცევსო), 41-ე წუთზე დიმიტრიოს მარკოსის გოლით დაწინაურდა და ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა. ახლა თამაშნაკლული „პანათინაიკოსი“ პირველ ადგილზეა და თუ მომავალ ოთხშაბათს დანიაში „ოლბორგს“ იმ ნაკლულ შეხვედრასაც მოუგებს, პრეტენზიულ მდევრებზე ხუთი ქულით წინ გავა.

„გ“ ჯგუფში ერთი რამ ნათელია: ბრწყინვალე „იუვენტუსს“ პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება. მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა რომ დგას, ტურინის გუნდმა მესამე შეხვედრაშიც დაამტკიცა. ცხადია, გადაჭარბებულია, მაგრამ „ბებერმა ქალბატონმა“ შესაძლოა ბოლო წლების თბილისის „დინამოს“ ამბავი მოგაგონოთ, საქართველოს პირველობაზე მეტოქეებს პირველივე ტაიმში რომ დაიფრენდა და მეორეს აზრი აღარ ჰქონდა. ამ კადნიერი შედარებისთვის გულწრფელ ბოდიშს კი მოვიხდით, მაგრამ სხვა რა უნდა იფიქრო კაცმა, ამხელა ჩემპიონთა ლიგაში „იუვე“ შესვენებაზე სამბურთიანი უპირატესობით რომ მიდის და ეს უპირატესობა მეორე ტაიმს გარკვეულ დაღს რომ ასვამს. ხმაურიან და ტრაბახა „გლაზგო რეინჯერსს“, სეზონის წინ პოლ გასკოინის ყიდვით მთელი ევროპა რომ შეაწუხა, იტალიელებმა ხელადვე განუმარტეს, რომ მათთან ახლოსაც ვერ მივა. ჯერ რავანელის ჯარიმა კედელში მდგომ მურს მოხვდა, გეზი იცვალა და კარში შევარდა, მერე, ერთ წუთში, იმავე რავანელის პასით კონტემ ანგარიში ორამდე გაზარდა, ცოტა ხანში კი დელ პიერომ ჯარიმა მარჯვნიდან თავისი ცნობილი დარტყმით გლაზგოელთა მეკარისგან მარცხენა ცხრიანში შეაგდო. მეორე ტაიმში გუნდებმა გოლები გაცვალეს. იტალიელთაგან კვლავ ჭაღარა რავანელიმ ივარგა.

„ბორუსიამ“ დორტმუნდში „სტიაუას“ უმასპინძლა. ბუქარესტელ არმიელთა კლუბისა და რუმინეთის ნაკრების მეკარემ ბოგდან სტელიამ ყველა ღონე კი იხმარა, მაგრამ 58-ე წუთზე რიკენის დარტყმასთან ვერაფერი გააწყო.

„დ“ ჯგუფში კი ახლავე ჩანს, პირველ და მეორე ადგილებს ვინ დაიკავებს. ამსტერდამის „აიაქსი“ ძალიან ძლიერი გუნდია. ჰოლანდიელი და მოწვეული ზანგები, თეთრ ჰოლანდიელებთან და ფინელ ლიტმანენთან ერთად საოცრად მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობენ. ისინი წამის მეათედსა და ერთიციცქნა ფართობზე ჭრიან პრობლემებს, სხვებს დიდი მანძილი და დრო რომ სჭირდებათ. შვეიცარიის ჩემპიონმა „გრასჰოპერმა“ დიდი ძალისხმევა კი შეალია, მაგრამ მეტოქეს დაუდგაო, პირველ ათ წუთზე თუ იტყოდით. შემდეგ, სწორედ უფრო ჭკვიანურად და ოსტატურად შესრულებული ეპიზოდების წყალობით, „აიაქსმა“ სამი გოლი გაუტანა სტუმარს და ლიგაში მესამე თამაში მოიგო. სამიდან ორი პატრიკ კლუივერტმა შეაგდო, ერთიც ნიგერიელმა ჯორჯ ფინიდიმ. აღსანიშნავია, რომ იარი ლიტმანენისთვის ეს სულაც არ იყო საუკეთესო მატჩი. იმ დღეს რომ ვერ ისარგებლა, ისეთი მომენტებიდან, როგორც წესი, გააქვს ხოლმე.

„რეალმა“ საბრალო „ფერენცვაროშს“ უმასპინძლა, რომ იტყვიან, ბურთი დაუმალა და მხოლოდ კარის ბადეში გამოუჩედა ხოლმე. მადრიდელ თავდამსხმელებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში ათით ან თერთმეტით ერთი იქნებოდა. ის ერთი გოლიც კოპუნოვიჩმა ხუთით ნოლის მერე გაიტანა, ესპანელებმა ყურადღება რომ მოადუნეს. ის დღე რაულისა იყო. სამეფო გუნდის შვიდმა ნომერმა სამი თავად გაიტანა, ორი სამორანოს გაატანინა და მხოლოდ ფერნანდო იეროს საჯარიმო დარტყმაში ვერ მიიღო მონაწილეობა.

პაპუნა კედია

## უეფას თასი

მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები. 17 ოქტომბერი

ლუგანო (შვეიცარია) — სლავია (ჩეხეთი) 1:2
ჩერნომორეცი (უკრაინა) — ლანსი (საფრანგეთი) 0:0
ბარსელონა (ესპანეთი) — გიმარაეში (პორტუგალია) 3:0
რეით როვერსი (შოტლანდია) — ბაიერნი (გერმანია) 0:2
რომა (იტალია) — აალსტი (ბელგია) 4:0
ვერდერი (გერმანია) — დინამო (ბელარუსი) 5:0
ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 3:5
სპარტა (ჩეხეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა) 4:3
ბორდო (საფრანგეთი) — როტორი (რუსეთი) 2:1
ბენფიკა (პორტუგალია) — როდა (ჰოლანდია) 1:0
სტრასბური (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) 0:1
ბრონდბიუ (დანია) — ლივერპული (ინგლისი) 0:0
ოსერი (საფრანგეთი) — ნოტინგემი (ინგლისი) 0:1
სევილია (ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1:0
ლიონი (საფრანგეთი) — ლაციო (იტალია) 2:1

18 ოქტომბერი

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ბეტისი (ესპანეთი) 1:3

# გააჩერეთ „როტორი“!

მადა ჭამაში მოდისო და, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გამარჯვების შემდეგ ვოლგოგრადის „როტორმა“ „ბორდოს“ დამხობაც გადაწყვიტა. გამოუვა თუ არა, ორ კვირაში შევიტყობთ. სამშაბათს კი ნიდერგაუსის გოლით რუსები კარგა ხანს იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე, ისევე როგორც მანჩესტერში, ვეღარ ივარგეს და მასპინძლებმა ჯერ გაათანაბრეს, წამატებულ, 91-წუთზე კი ჰოლანდიელი რიხარდ ვიჩხეს პენალტით მინიმალურადაც გაიმარჯვეს. იმ დღეს წამატებული დრო კიდევ ერთი ჰოლანდიელისთვის აღმოჩნდა სახეირო: იოჰან კრუიფის ახალგაზრდები მთელი პირველი ტაიმი ამაოდ უტევდნენ — მრავალი საგოლე მომენტის მიუხედავად 0:0 იყო. ის კი არა, ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას პორტუგალიელ თავდამსხმელს ბუსკეტთან პირისპირ გასვლა რომ გამოეყენებინა, „ბარსას“ საქმე უკუღმა წავიდოდა. მოკლედ, 45-მა წუთმა უგოლოდ ჩაიარა, მაგრამ მსაჯმა ცოტა წაამატა და იქვე „ვიქტორიას“ კარში ერთობ საეჭვო პენალტიც დანიშნა. ბოსნიელი მეხო კოდროს დარტყმული ბურთი ჯერ მეკარეს მოხვდა, მერე ძელს, ისევ დამრტყმელს დაუბრუნდა და — 1:0. მეორე ტაიმში „ბარსამ“ ჩვეულად, ლაღად ითამაშა და კიდევ ორი გოლი გაიტანა: 66-ე წუთზე ისევ კოდრომ, 76-ზე კი 19 წლის კუადესმა. „ბარსელონას: მხარი „რომამ“ და „ვერდერმა“ აუბეს და ამათაც დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს. იტალიის დედაქალაქში ბელგიელ პროვინციალებს თავგზა აებნათ: პირველი ორი გოლი საკუთარ კარში გაიტანეს — მეექვსე წუთზე მორიეროს დარტყმა ვანდერჰაგემ „შეასწორა“, მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე კი კაპიოლისა — ვან დერ ჰორნმა. მერე რომაელებმა საკუთრივადაც ივარგეს: ჯერ ბალბომ (69), მერე კი ტოტიმ (77). ახლა რომას თავი ქუდში ანუ მერვედფინალში აქვს, ისევე, როგორც „მილანს“. სოზესა და მოსტოვოის „სტრასბურმა“ ცდა არ დააკლო, მაგრამ სუპერ-კლუბის დამარცხება ვერ შესძლო. ერთადერთი გოლი დამთავრებამდე 11 წუთით ადრე გავიდა — ალბერტინიმ ჩინებული პასი მისცა ვეას, ამან კი, როცა ყველა დააჯერა, მე დავარტყამო, ქუსლით ბურთი სიმონეს დაუგდო და ამანაც არ დააყოვნა. ვეაზე კიდევ ერთს ვიტყვით: ერთ მომენტში საფრანგეთიდან იტალიაში გადასულმა ლიბერიელმა „სომხური ილეთი“ ჩაატარა — მეორე ტაიმის შუაში ფრანგთა მეკარე და ერთ-ერთი მცველი, ტრადიციულად, ერთმანეთს შეეჯახნენ. თუმცა მონაკოელი კოლეგებისგან განსხვავებით, ჰოსპიტალში წასაყვანნი არ გახდნენ. მეკარეს იქვე უწამლეს და ამანაც სტუმართა მორიგი ჩაწოდებული ბურთი იგდო ხელთ, მაგრამ მტკივან შუბლზე ხელი მოიკიდა და ... ვეას ეს არ გამოჰპარვია — ცალ ხელში ჩაბღუჯულ ბურთს ურჭინა და გოლის გატანა დააპირა, მაგრამ ასეთ გოლს მხოლოდ „არარატს“ უთვლიანო, მსაჯი სწორად გაისარჯა. კიდევ ერთ ფრანგულ-იტალიურ წყვილშიც მოახერხეს სტუმრებმა გოლის გატანა, მაგრამ „მილანისგან“ განსხვავებით, „ლაციომ“ საკუთარში ორი გაუშვა და დამარცხდა. სანამ გუნდები თანაბარი შემადგენლობებით თამაშობდნენ, ანგარიში 1:1 იყო: ლიონელ დევოს მე-14 წუთზე გატანილ გოლს ჰოლანდიელმა ვინტერმა რვა წუთში უპასუხა, მაგრამ მეორე ტაიმის პირველივე წუთზე მსაჯმა „ლაციოს“ არგენტინელი შამოტი გააძევა და დებლასის გოლს სტუმრებმა ვეღარაფრით უპასუხეს. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი ლუგანოში და იქაც ერთმა ფეხბურთელმა მოედანი ვადაზე ადრე დასტოვა, ოღონდ შვეიცარიაში კაცი მასპინძლებს მოაკლდათ, გამარჯვება კი სტუმრებმა მოიპოვეს. ჩეხები ლუგანოელი ფორნერას გაძევებამდეც (35-ე წუთი) კარგად თამაშობდნენ და ორი ბურთი უკვე გატანილი ჰქონდათ — ვაგნერს მეოცეზე, პენიჩკას 26-ზე. „ინტერის“ გამამწარებელმა „ლუგანომ“ მხოლოდ დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მოახერხა გოლის გატანა — ავტორი ევროპაში მიკლუხო-მაკლაივით მოარული შალიმოვი იყო. ასევე მიწურულში შეძლეს მეტოქეთა დაჯაბნა „ბენფიკამ“ და „სევილიამ“, ოღონდ ამათი გოლები გამარჯვებისა იყო — ლისაბონელები რუმინელმა პანდურუმ აზეიმა, ესპანელები — ხუანიტომ. წაგების მიუხედავად კმაყოფილები დარჩნენ „რეით როვერსის“ გულშემატკივრები: მათ ხომ საქვეყნოდ ცნობილი „ბავარია“ იხილეს. ინგლისის ლიგის შარშანდელი ტრიუმფატორი კლინსმანიც ტყუილად როდი ჩავიდა მათთან და მეექვსე და 73-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა. სამი ინგლისური კლუბიდან შემდეგ ეტაპს, ალბათ, ორი შერჩება — „ლიდსი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადალახავს ბარიერს, თუ ორი კვირის შემდეგ ეინდჰოვენში წინა ეტაპზე მონტე-კარლოში მიღწეულ შედეგს გაიმეორებს, რაც თითქმის გამორიცხულია.

ოთხშაბათს კი ერთი გვიანი მატჩი გაიმართა: „კაიზერსლაუტერნმა“ უმასპინძლა „ბეტისს“. რომ არ გცოდნოდათ მასპინძლის ვინაობა, ალბათ მთელი შეხვედრის მანძილზე, მეტადრე კი პირველ ტაიმში, იფიქრებდით, გერმანელები სტუმრად არიანო. საერთოდაც, ესპანელები მეტი ფანტაზიით და ეშხით თამაშობდნენ, „კაიზერი“ კი არაფრისმთქმელი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავიდან მსაჯმა „ბეტისის“ სასარგებლოდ უტყუარი პენალტი არ დანიშნა, მერე მეკარისთვის თავზე გადაგდებული ბურთი ანდრეას ბრემემ კარის ხაზიდან გამოიტანა, თუმცა ესპანელებმა მაინც გაიტანეს. ეს ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა, როდესაც მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს ოთხი ფეხბურთელი შეჯგუფულად აუხტა. ამ ოთხეულიდან ორი მასპინძელი იყო, ორიც სტუმარი. მარკო ალფონსომ ყველას აჯობა და თავით გაიტანა. მეორე ტაიმში, მეორე წუთზე „კაიზერსლაუტერნმა“ ანგარიში გაათანაბრა. მარჯვენა ფრთაზე ჯარიმა დაინიშნა. ესპანელებმა ორკაციანი ცოცხალი კედელი აღმართეს. ჩაწოდებული ბურთი გერმანელთა ულუფა შეიქნა და თაურით „ბეტისის“ კარში შევარდა, მაგრამ წონასწორობა ხულ ექვს წუთს გაგრძელდა. მასპინძელთა დაცვამ პოზიციური შეცდომა დაუშვა და ალექსისმა კვლავ სტუმრები დააწინაურა. მესამე და საბოლოო გოლი კი ალფონსომ გაიტანა. მან საჯარიმოს ხაზთან მცველი მოატყუა და იუვენტუსელ ალესანდრო დელ პიეროს მსგავსად, ულამაზესი ტრაექტორიით ბურთი მეკარისგან მარცხენა ცხრიანში გაიტანა.

გია ოდილავაძე

## ფეხბურთის რუკასთან



კოლუმბიაში სამშაბათს პოლიციამ აეროპორტში დააკავა ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ვილსონ პერესი. პერესს, რომელიც ნაკრების შემადგენლობაში ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზეც იყო, ბარგში ჰქონდა ორი ჟურნალი, რომლებშიც 171 გრამი კოკაინი შეენახა. იგი შინ ბრუნდებოდა კალიდან, სადაც ადგილობრივ „ამერიკაში" თამაშობს. ცნობილია, რომ ამ კლუბის ერთ-ერთი ძირითადი მეპატრონე გახლავთ მიგელ როდრიგეს ორეხუელა, კალის ნარკოკარტელის თავკაცი.

ესპანეთში „ესპანიოლთან" 0:3 დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა „სევილიის" პორტუგალიელი მწვრთნელი, ტონიდ წოდებული ანტონიო ოლივეირა.

შვეიცარიის „სერვეტშიც" მწვრთნელი გადადგა. უხეირო შედეგთა გამო გუნდმა გაათავისუფლა ბერნარ შალანდესი, რომელიც გასულ სეზონში „იანგ ბოიზიდან" გადმოვიდა. მის ნაცვლად „სერვეტს" წარუძღვება უმბერტო ბარბესი, რომელიც „სიონს" წვრთნიდა.

შოტლანდიაში, ედინბურგის სასამართლომ განიხილა ყოფილი რეინჯერსელის, ახლა კი „ევერტონის" მოთამაშის დანკან ფერგიუსონის საქმე. ფერგიუსონს ბრალად ის ედებოდა, რომ 16 აპრილს „გლაზგო რეინჯერსისა" და „რეით როვერსის" მატჩში მან სათამაშო სიტუაციაში მეტოქეს, ჯონ მაკსტეის სახეში თავი ჩაარტყა. განხილვამ დაადგინა რომ ფერგიუსონმა ეს ძალად ჩაიდინა, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, იხულიგნა, ხულიგნობა კი კრიმინალური დანაშაულია. ფეხბურთელს სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და გლაზგოს ციხეში გაამწესეს. ციხე, რომელსაც „ბარლინს" უწოდებენ, 980 პატიმარზეა გათვლილი, მაგრამ მასში სასჯელს 1200-ზე მეტი ადამიანი იხდის. ფერგიუსონს სწორედ აქ მოუწევს სამი თვის გატარება, თუმცა, ამბობენ, თუ სანიმუშოდ მოიქცევა, ადრეც გამოუშვებენო.

ინგლისშიც სასამართლო სკანდალია. „ასტონ ვილას" ყოფილ თავდამსხმელს ჯონ ფაშანუს საუთჰემპტონის თემიდამ დაუდგინა, რომ იგი ინგლისურ კლუბებში მოთამაშე არაინგლისელ მეკარეებს ქრთამავდა, რათა მატჩები მისთვის და ტოტალიზატორისთვის სასურველი შედეგით დამთავრებულიყო. შედეგად, 40 ათას გირვანქად 1993 წელს ზიმბაბველმა მეკარემ ბრუს გრობელაარმა სამი გოლი გაუშვა, ჰოლანდიელმა გოლკიპერმა ჰანს სეგერსმა კი 19 ათასად იმავე „ლივერპულთან" ასევე სამი გოლი გაუშვა. შავბნელი საქმეების ორგანიზება ხენ სუან ლიმს დაბრალდა. ამ მალაიზიელი ბიზნესმენებისგან განსხვავებით, ფაშანუს ცოლი მელისა კახამაფსი უდანაშაულოდ სცნეს. აპელაციას პირველ დეკემბერს განიხილავენ და თუ ეგრეთ წოდებული გრობელაარი და კომპანია აქაც არ გაამართლეს, მათ 7 წლით ციხეში ჯდომა მოუწევთ.

ფინეთში მომავალი სეზონიდან უმაღლეს დივიზიონში 12 გუნდსღა დატოვებენ. თოთხმეტგუნდიანი ლიგიდან უპირობოდ გავარდნენ „პუნისტუსი", „კუუკსუსი" და ტამპერეს ტპვ. „მიკელის" კი ქვედა ლიგელ კოტკას კტპ-სთან გადათამაშება მოუწევს. რაც შეეხება ევროთასებს, „ჰაკა" და „მიუპა 47" გაისად უეფას თასზე იასპარეზებენ, თასების თასზე წამსვლელი კი ფინალში „მიუპასა" და „ჰელსინკ" — „იაცს" შორის გამარჯვებულის შეხვედრაში გაირკვევა.

დანიის ჩემპიონატს 14 ტურის შემდეგ ლიდერობს „ორჰუსი", რომელმაც „ნესტვედს" 3:0 მოუგო და 31 ქულა აქვს. მას ოთხი ქულით ჩამორჩება „ოდენსე", რომელმაც სტუმრად 3:1 მოუგო „იკასტს", 25 ქულით მესამე ადგილზეა „ლუნგბიუ". შარშანდელი ჩემპიონი „ოლბორგი" ბოლო ტურში სტუმრად დამარცხდა „კოპენჰაგენთან" 1:2 და 23 ქულით ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.

მექსიკის ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში სძლია საუდის არაბეთს 2:1, ეს ბორა მილუტინოვიჩის ხელახალი დებიუტი იყო მექსიკაში. ნორვეგიამ, რომელიც 11-ში შესარჩევი თამაშისგან თავისუფალი იყო, ინგლისთან შინ ფრედ 0:0 ითამაშა. შვედეთმა შოტლანდიას მოუგო 2:0, არგენტინამ შინ ვერ დაამარცხა კოლუმბია — 0:0, ბრაზილიამ ურუგვაის 2:0 მოუგო.

იტალიური კლუბები, მიუხედავად გაგანია სეზონისა, მაინც ტრანსფერებსა და კონტრაქტებზე ფიქრობენ. „ფიორენტინამ", მაგალითად, არგენტინელ თავდამსხმელთან გაბრიელ ბატისტუტასთან საუკუნის ბოლომდე გააგრძელა ხელშეკრულება, ფეხბურთელთა ყიდვას დახარბებულმა „მილანმა" კი ახალი აფრიკელი ზანგი პატრიკ ვიეირა შეიძინა საფრანგეთის „კანისგან". ამ 19 წლის მოთამაშის შეძენა მილანელებს 5,6 მილიონი დოლარი დაუჯდათ. თავად ვიეირა წლიურად 750 ათასს მიიღებს. ეს კონტრაქტიც 2000 წლამდეა.

ინგლისში პოლიციელმა ქალმა ჯორჯინა კრისტოფერმა ქვეყნის საფეხბურთო ლიგას სასამართლოს ძალით ფული წაგლიჯა. ეს 26 წლის ქალბატონი სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოებში საფეხბურთო მსაჯობას აპირებდა, მაგრამ ლიგამ ნება არ დართო. გაბრაზებულმა კრისტოფერმა იჩივლა.

ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს ფეხბურთის ვარსკვლავობა აღარ ჰყოფნის და ახლა კინოვარსკვლავობას აპირებს. ნოემბერში მან გამონახა ორი თავისუფალი დღე როდესაც გადაღებას დაიწყებს. ხრისტო ფილმში საკუთარ თავს განასახიერებს.

საუდის არაბეთის კლუბის „აჰლი ჯედას" პრეზიდენტმა, ემირმა აბდულა ელ ფეისალმა თავის ფეხბურთელებს უსასყიდლოდ ინტერვიუების გაცემა აუკრძალა. მისი ბრძანებით, ფეხბურთელებმა ჟურნალისტებს 5 ათასი დოლარი უნდა გამოართვან. ჟურნალისტებმა საპასუხოდ გუნდს ბოიკოტი გამოუცხადეს.



ხრისტოს კინოში იღებენ

## რუსეთი

14 ოქტომბერი, XXVIII ტური. სპარტაკ-ალანია — დინამო-გაზოვიკი 4:0, ლოკომოტივი (მ) — ურალმაში 0:1, კამაზ-ჩალი — როსტსელმაში 0:1, ჟემჩუჟინა — ლოკომოტივი (ნ.ნ.) 0:0, ცსკა — სპარტაკი 1:2, როტორი — დინამო (მ) 0:2, ტორპედო — ტექსტილშჩიკი 0:0, ჩერნომორეცი — კრილია სოვეტოვი 2:0

# „ლოკომოტივი" გაჩერდა

ყველაფერს აქვს დასასრული და, მოსკოვის „ლოკომოტივის" ზეობასაც მოეღო ბოლო, თანაც იქ და მაშინ, სადაც და როცა არავინ ელოდა. შარშან სწორედ ეკატერინბურგის „ურალმაში" იყო ის ერთადერთი არამოსკოვური გუნდი, რომელმაც რკინიგზელებს მოსკოვში მოუგო. ანგარიში შარშანაც 0:1 იყო და ეს გადამწყვეტი გოლიც შარშან 74-ე წუთზე გავიდა!

ბოროტი ენები ამბობენ, ვლადიკავკაზელები ეკატერინბურგელებს გვარიან გასამრჯელოს შეჰპირდნენ — ოღონდაც რკინიგზელებს ქულა წაართვით და თქვენი პატივისცემა ჩვენზე იყოსო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ფული იმაზე კი არ მიდის, ვიღაცა ვიღაცას „დაუწვეს", არამედ პირიქით. მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია ევროპაში, თუნდაც „ბარსელონა" — „ტენერიფე" — „რეალის" მაგალითები რომ გავიხსენოთ.

ისე, ამ მოგებით „ურალმაში", ლამის იყო, იბევებდა მერვე ადგილს, რომელიც „ინტერტოტოს" საგზურს იძლევა, ამიტომ ციმბირელებს სხვა სტიმულიც ჰქონდათ. მოსკოვში საგანგებოდ მოემზადნენ „ურალმაშის" დასახვედრად: მსაჯმა ზუბიაკმა, რაკილა შეატყო, „ლოკომოტივი" გოლის გამტანი არ არისო, ისეთი პენალტი მოიგონა, მედიაც კი ალაშფოთა, მაგრამ იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე მეკარე გოროდოვმა ხარლაჩევის პენალტი აიღო, თხუთმეტიოდე წუთში კი ურალმაშელმა ბახტინმა უძლიერესი დარტყმით ლამის ბადე გაგლიჯა. ეს დარტყმა, რომელმაც, ფაქტობრივად, რუსეთის ჩემპიონი „სპარტაკ-ალანია" გახადა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 74-ე წუთზე შესრულდა. აქ კი ურალმაშელთა წვრილფეხა გულშემატკივრობამ, რომელსაც მოსკოვის ომონმა ლამის იყო ჩურჩულიც აუკრძალა, ისეთი ღრიალი მორთო, ალბათ ვლადიკავკაზშიც გაიგეს, სადაც იმ დროისთვის ანგარიში უკვე 4:0 იყო. მეორე გოლი ჩვენებურმა ყაველაშვილმა გაიტანა, თანაც მეტად უხერხული კუთხიდან დაპირდაპირ ცხრიანში. ეს მიშას მეთორმეტე გოლი გახლდათ რუსეთი ჩემპიონატში. მატჩი გამოტოვა შეუძლოდ მყოფმა მურთაზ შელიამ, რომელიც გაზაფხულზე კი დაასვენა, მაგრამ ჟურნალისტებმა არ მოასვენეს და წარამარა ეკითხებოდნენ საქართველო — ბულგარეთის მატჩის ამბებს.

რუსულმა „სპარტაკმა" კი მოგვიანებით, მაგრამ მაინც აკრიფა სიჩქარე და ახლა ბრინჯაოს მედლის უპირველესი კანდიდატია. „გასვლაზე" ცესკასთან სპარტაკელებმა ალენიჩევისა და შმაროვის გოლებით მოიგეს.

მას შემდეგ, რაც მოსკოვის „დინამოს" ბესკოვის ნაცვლად ადამას გოლოდეცი ჩაუდგა სათავეში, გუნდმა შვიდი მატჩი ითამაშა და შვიდივე მოიგო! მაგრამ ვოლგოგრადში „როტორთან" მოგებას სულ სხვა ელფერი ჰქონდა და აი, რატომ:

1993 წლის შემოდგომაზე ვოლგოგრადში „დინამო" კვლავაც იგებდა 2:0-ს, მაგრამ მეორე ტაიმში „როტორმა" შეუძლებელი შესძლო, დაამარცხა მოსკოველები და ვერცხლის მედლების ბედიც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაშინ „როტორის" პრეზიდენტს გორიუნოვს მსაჯთა ოთახში ასეთი სცენა უხილავს: „დინამოს" პრეზიდენტი ტოლსტიხი იმ მატჩის მსაჯს, როსტოველ გავრინს ჰპირდებოდა, შენ აღარასდროს იმსაჯებო. და მართლაც, გავრინი ორ წელია აღარ მსაჯობს უმაღლეს ლიგას. ამ და სხვა ამბებს ნავთი დაასხა დინამოელთა უარმა მატჩის გადატანის თაობაზე, რაკილა „როტორი" „ბორდოს" უნდა შეხვედროდა უეფას თასზე. აქ ვერც რუსეთის პროფესიულმა ლიგამ გარისკა: მან ხომ მსგავს თხოვნაზე „სპარტაკ-ალანიას" უთხრა უარი. ჰოდა, რაკილა ორ სკამზე მჯდომი ტოლსტიხი ორივეზე კვლავაც მყარად ზის, მატჩი იმ დღეს გაიმართა, ოღონდ... დღის 12 საათზე. ეს შეხვედრა, უხეშობითა და კინკლაობით რომ გამოირჩეოდა, მოსკოვის დინამოელთა გამარჯვებითა და რევანშით დამთავრდა. ამაში კი ყველაზე დიდი წვლილი... საოცრად მოთამაშე კლეიმენოვმა და მცველმა კუზნეცოვმა შეიტანეს: ამ უკანასკნელმა ჯერ პირველი, შემდეგ კი მეორე ტაიმის ბოლო წამებზე ორი გოლი გაიტანა.

„როსტსელმაშმა" ნაბერეჟნიე ჩელნიში „კამაზს" მოუგო, მაგრამ აქეთ დევაძეს არ უთამაშია, იქით მიშა ჯიშკარიანს. ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივმა" მორიგი ფრე ითამაშა (მეათე — ოცდარვა მატჩში), მოსკოვის „ტორპედომ" კი კვლავ ანტიფეხბურთი გააჩაღა „ტექსტილშჩიკთან" და ახლა ნულოვან ფრეს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ კამიშინელებს ერთხელაც არ დაურტყამთ მეტოქეთა კარისკენ. ნოვოროსიისკში კი „ჩერნომორეცმა" „კრილია სოვეტოვი" დაამარცხა, მეორე ტაიმში სამარელთა მწვრთნელმა ავერიანოვმა ერთი ქართველი (წიკლაური) მეორით (მინაშვილით) შეცვალა, მაგრამ ამას შედეგი მაინც არ მოჰყოლია.

მოკლედ, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია" ჩემპიონი გახდება ან 21 ოქტომბერს მოსკოვში ცესკასთან, ან — 28-ში შინ „კამაზთან". ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ქართველი ლეგიონერები უცხო ქვეყნის ჩემპიონები გახდებიან.

მამუკა ქვარაცხელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიკავკაზი | 28 | 21 | 4 | 3 | 61-20 | 67 |
| ლოკომოტივი | 28 | 19 | 4 | 5 | 47-22 | 61 |
| სპარტაკი | 28 | 17 | 6 | 5 | 66-24 | 57 |
| ტორპედო | 28 | 16 | 7 | 5 | 38-25 | 55 |
| დინამო | 28 | 15 | 7 | 6 | 40-25 | 52 |
| ცსკა | 28 | 15 | 5 | 8 | 53-31 | 50 |
| როტორი | 28 | 11 | 6 | 11 | 60-46 | 39 |
| კამაზი | 28 | 9 | 7 | 12 | 31-29 | 34 |
| ურალმაში | 28 | 10 | 3 | 15 | 35-46 | 33 |
| ჩერნომორეცი | 28 | 10 | 2 | 16 | 30-53 | 32 |
| ტექსტილშჩიკი | 28 | 8 | 7 | 13 | 33-37 | 31 |
| ჟემჩუჟინა | 28 | 8 | 4 | 16 | 32-63 | 28 |
| როსტსელმაში | 28 | 7 | 4 | 17 | 32-54 | 25 |
| ნ. ნოვგოროდი | 28 | 5 | 10 | 13 | 24-39 | 25 |
| კრ. სოვეტოვი | 28 | 5 | 8 | 15 | 32-60 | 23 |
| გაზოვიკი | 28 | 3 | 6 | 19 | 28-68 | 15 |

## იტალია

სერია B. VIII ტური

პალერმო — [illegible] 2:1
ტედესკო (7), ვასარი (46); [illegible] (58)
რეჯანა — ვენეცია 3:0
სტრადა (8, 16); [illegible] (23)
სალერნიტანა — ფ.ანდრია 1:0
სკარინგელა (47 საკუთარ კარში)
ვერონა — პისტოიზე 2:3
ჟირარდელო (65), ბარონი (66); ნარდი (38), ბელინი (73), ლორენტო (83)
ანკონა — პერუჯა 4:0
ლუკიდი (25), არტისტიკო (54), კავალიერე (75), ლემე (88 პ)
ბოლონია — ბრეშია 1:0
მორელო (76)
ჯენოა — ჩეზენა 2:1
მონტელა (26), სკუპრავი (87); პუბნერი (41)
ლუკეზე — პესკარა 0:1
კარნევალე (30)
ფოჯა — კიევო 0:0
რეჯინა — კოზენცა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 8 | 5 | 2 | 1 | 17-8 | 17 |
| ბოლონია | 8 | 4 | 4 | 0 | 9-4 | 16 |
| სალერნიტანა | 8 | 4 | 2 | 2 | 8-2 | 14 |
| ვერონა | 8 | 4 | 2 | 2 | 12-7 | 14 |
| ბრეშია | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 12 |
| პესკარა | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 12 |
| პალერმო | 8 | 2 | 6 | 0 | 7-5 | 12 |
| ჩეზენა | 8 | 3 | 2 | 3 | 11-9 | 11 |
| პისტოიზე | 8 | 3 | 2 | 3 | 10-8 | 11 |
| აველინო | 8 | 3 | 2 | 3 | 8-8 | 11 |
| ანკონა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-12 | 10 |
| ფოჯა | 8 | 2 | 4 | 2 | 4-6 | 10 |
| კოზენცა | 8 | 2 | 3 | 3 | 7-10 | 9 |
| კიევო | 8 | 1 | 5 | 2 | 7-8 | 8 |
| ფ.ანდრია | 8 | 2 | 2 | 4 | 10-12 | 8 |
| ლუკეზე | 8 | 1 | 4 | 3 | 5-7 | 7 |
| რეჯანა | 8 | 1 | 4 | 3 | 7-11 | 7 |
| პერუჯა | 8 | 1 | 4 | 3 | 4-10 | 7 |
| რეჯინა | 8 | 0 | 7 | 1 | 5-12 | 7 |
| ვენეცია | 8 | 1 | 2 | 5 | 3-12 | 5 |

## პორტუგალია

I ტურის გამოტოვებული შეხვედრა ბენფიკა — სალგეირუში 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-4 | 19 |
| პორტუ | 7 | 6 | 1 | 0 | 12-2 | 19 |
| ბენფიკა | 7 | 4 | 2 | 1 | 7-3 | 14 |
| ბოავიშტა | 7 | 4 | 1 | 2 | 9-5 | 13 |
| ბელენენსეში | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| ბრაგა | 7 | 4 | 1 | 2 | 7-10 | 13 |
| გიმარაეში | 7 | 3 | 2 | 2 | 9-9 | 11 |
| მარიტიმუ | 7 | 3 | 1 | 3 | 14-8 | 10 |
| სალგეირუში | 7 | 2 | 4 | 1 | 8-5 | 10 |
| ფელგეირაში | 7 | 2 | 4 | 1 | 8-5 | 10 |
| ტირსენსე | 7 | 2 | 3 | 2 | 11-8 | 9 |
| ფარენსე | 7 | 2 | 2 | 3 | 7-6 | 8 |
| ეშტ. ამადორა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-6 | 8 |
| შავეში | 7 | 1 | 3 | 3 | 10-11 | 6 |
| ლეცა | 7 | 1 | 2 | 4 | 5-11 | 5 |
| უილ ვისენტე | 7 | 1 | 1 | 5 | 5-13 | 4 |
| კამპომაიორენსე | 7 | 1 | 1 | 5 | 6-18 | 4 |
| უნიაუ ლეირია | 7 | 1 | 0 | 6 | 5-22 | 3 |

## ინგლისი

IX ტურის გვიანი შეხვედრა უიმბლდონი — ვესტ ჰემი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 9 | 8 | 0 | 1 | 20-6 | 24 |
| მანჩესტერ იუნ. | 9 | 6 | 2 | 1 | 17-10 | 20 |
| არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 13-5 | 18 |
| მიდლსბრო | 9 | 5 | 3 | 1 | 10-4 | 18 |
| ლივერპული | 9 | 5 | 2 | 2 | 15-7 | 17 |
| ასტონ ვილა | 9 | 5 | 2 | 2 | 12-5 | 17 |
| ნოტინგემი | 9 | 4 | 5 | 0 | 15-9 | 17 |
| ჩელსი | 9 | 4 | 3 | 2 | 10-7 | 15 |
| ლიდსი | 9 | 5 | 0 | 4 | 14-12 | 15 |
| ტოტენჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-14 | 10 |
| უიმბლდონი | 9 | 3 | 0 | 6 | 13-17 | 9 |
| ვესტ ჰემი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-11 | 9 |
| ქვინზ პარკი | 9 | 3 | 0 | 6 | 9-15 | 9 |
| ევერტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-14 | 8 |
| შეფილდი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| ქოვენტრი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-17 | 7 |
| საუთჰემპტონი | 9 | 1 | 3 | 5 | 8-16 | 6 |
| ბოლტონი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-19 | 5 |
| მანჩესტერ სიტი | 9 | 0 | 1 | 8 | 3-15 | 1 |

## ფიფას რეიტინგი

სამშაბათს ფიფამ ოფიციალურად გამოაქვეყნა მსოფლიოს ნაკრებ გუნდებთა რანგ-ლისტის ახალი ვარიანტი. სამწუხაროდ, საინფორმაციო სააგენტოებმა მხოლოდ პირველი 22 გუნდის სია შემოგვთავაზეს, არადა, ბულგარელებთან გამარჯვება ჩვენს ეროვნულ გუნდს ბლომად ქულებს წაუმატებდა და სოლიდურ ადგილს მიუჩენდა. ლიდერთა მდგომარეობა კი 17 ოქტომბრისათვის ასეთია:

1. ბრაზილია 68.19
2. ესპანეთი 60.53
3. გერმანია 60.50
4. ნორვეგია 58.46
5. რუსეთი 57.67
6. იტალია 57.51
7. არგენტინა 57.21
8. დანია 57.12
9. შვეიცარია 56.29
10. მექსიკა 55.61
11. ბულგარეთი 55.37
12. საფრანგეთი 55.03
13. შვედეთი 54.80
14. პოლანდია 53.74
15. კოლუმბია 53.60
16. რუმინეთი 53.60
17. პორტუგალია 53.02
18. ირლანდია 51.59
19. აშშ 50.92
20. ჩეხეთი 50.83
21. ეგვიპტე 48.93
22. ინგლისი 48.36

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. მე-10 ტური. 20-22.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი — შალკე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ფრაიბურგი — ჰამბურგი | 1,8 | 2,8 | 2,6 |
| მიუნხენი — კარლსრუე | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| უერდინგენი — ჰანზა | 1,9 | 2,8 | 2,4 |
| შტუტგარტი — აინტრახტი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ზტ.პაული — ბაიერნი | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| მიონხენგლადბახი — ვერდერი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| დორტმუნდი — კიოლნი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი — ფორტუნა | 1,3 | 3,0 | 5,0 |

ინგლისის ჩემპიონატი. მე-10 ტური. 21-22.10

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ასტონ ვილა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ჩელსი — მანჩესტერ იუნ. | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ქოვენთრი — შეფილდი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ევერტონი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| მანჩესტერ სიტი — ლიდსი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| მიდლსბრო — ქპრ | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ნიუკასლი — უიმბლდონი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ნოტინგემი — ბოლტონი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ვესტ ჰემი — ბლექბერნი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| საუთჰემპტონი — ლივერპული | 4,0 | 3,0 | 1,4 |

იტალიის ჩემპიონატი. მე-7 ტური. 22.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — კალიარი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| კრემონეზე — ატალანტა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ინტერი — ლაციო | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| იუვენტუსი — პადოვა | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| პიაჩენცა — ნაპოლი | 2,6 | 2,6 | 1,9 |
| რომა — პარმა | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| სამპდორია — ფიორენტინა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| უდინეზე — ტორინო | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ვიჩენცა — მილანი | 3,6 | 2,6 | 1,6 |

ესპანეთის ჩემპიონატი. მე-9 ტური. 21-22.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ვალენსია | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ბეტისი — კომპოსტელა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ოვიედო — სალამანკა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რეალი — ტენერიფე | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| რაიო ვალეკანო — ალბასეტე | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| სარაგოსა — რეალ სოსიედადი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მერიდა — რასინგი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ვალიადოლიდი — ატლეტიკო | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| დეპორტივო — სპორტინგი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| სელტა — სევილია | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ბილბაო — ესპანიოლი | 1,6 | 2,8 | 3,2 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-14 ტური. 20-21.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ლიონი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ბორდო — რენი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ლილი — მეცი | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| ბასტია — სტრასბური | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| პსჟ — ოსერი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სტ.ეტიენი — ლანსი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| ნიცა — მარტიგი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| გინგამი — ჰაორი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| გერიონი — კანი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| მონაკო — მონპელიე | 1,4 | 2,8 | 4,4 |

რუსეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური. 21.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — სპარტაკ-ალანია (ვლ) | 1,8 | 2,5 | 2,9 |
| ტექსტილშჩიკი — როსტსელმაში | 1,6 | 2,8 | 3,2 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. მე-9 ტური. 21.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიბერნიანი — მოზერველი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| რეინჯერსი — ჰართსი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

თურქეთის ჩემპიონატი. მე-9 ტური. 21-22.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — გალათასარაი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ესქიშეპირსფორი — ბეშიქთაში | 4,0 | 3,0 | 1,4 |

ჰოლანდიის ჩემპიონატი. მე-10 ტური. 22.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — აიაქსი | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| ეინდჰოვენი — გრონინგენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ინგლისის ლიგის თასის მეთექვსმეტედფინალის I მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| სტოკ სიტი — ნიუკასლი | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| უოტფორდი — ბლექბერნი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| ქპრ — იორკ სიტი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ქოვენთრი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| დერბი ქაუნთი — ლიდსი | 3,0 | 3,0 | 1,6 |
| მილუოლი — შეფილდი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ბოლტონი — ლესტერი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| კრისტალ პალასი — მიდლსბრო | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| ბარნსლი — არსენალი | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| ასტონ ვილა — სტოკპორტი | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| ლივერპული — მანჩესტერ სიტი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია: 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9
ინგლისი: 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9
ესპანეთი: 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9
იტალია: 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | 0-1 | | | | 3-2 | | | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | | | | 3-1 | | | | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | | | ■ | | 2-1 | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | 3-1 | | | | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | | | | | | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | 0-1 | | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | | | | | 1-1 | | | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | | | | 1-0 | | ■ | | | | | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | 2-1 | | | | | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | 0-0 | 2-2 | | | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | 4-3 | | | 0-0 | | 1-1 | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | | | | | | | 3-0 | | | | 3-0 | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | 0-3 | | | | | | 1-1 | | | | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | 1-1 | | | | | | | | | | | | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | | | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | | | 2-1 | | | ■ | | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | 2-2 | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | | ■ | 1-1 | |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | 0-1 | | | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | 2-1 | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | 1-1 | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | | | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | 0-0 | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | 1-0 | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | 2-3 | | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | | 1-3 | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | | 0-1 | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | | | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | 0-0 | 2-2 | | | 1-1 | | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | 2-2 | | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | 3-3 | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | 2-2 | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | | | | | | | | | 1-2 | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 2-2 | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | | | | | | | | ■ | | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | 2-0 |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | 2-2 | | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | 1-2 | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | | | | | | | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | 1-1 | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | | 1-1 | | 1-1 | | | | | | | | 0-1 | | ■ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი გამარჯვება მეცხრე ცდაზე



ვასილ ოთიურიძისა და ვასილ ბერძენიშვილის მორიგი დუელი

| საქართველოს ჩემპიონატი. II ჯგუფი<br>დინამო — კაქტუსი 89:76 (48:43)<br>თბილისი. ვერის ბალი. 18 ოქტომბერი. 1200 მაყურებელი<br>მსაჯები: რ. გელოვანი, ა. როსტომაშვილი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | ქუ ლა | მოხ სნა | პა სი | ჩაჭ რა | დაფ არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფო ლი |
| 6 ჟღენტი | 13 | 2 | 1 | 2 | — | 8 | 8 | 3 |
| 5 მაისურაძე | 24 | 6 | 2 | 4 | — | 1 | 1 | 4 |
| 8 ბეჟანიშვილი | 11 | 8 | 1 | 2 | — | 3 | 3 | 3 |
| 13 კილაძე | 6 | 7 | — | 2 | — | 4 | 2 | 3 |
| 14 ბერძენიშვილი | 14 | 10 | 3 | 2 | — | 1 | — | 3 |
| 7 ცაგარეიშვილი | 9 | 2 | — | 1 | — | 6 | 4 | 2 |
| 15 ცხვედიანი | 10 | 4 | 1 | 1 | — | 2 | 1 | 3 |
| 11 სხიერელი | 2 | — | — | — | — | — | — | 1 |
| სულ | 89 | 39 | 8 | 14 | — | 25 | 19 | 22 |
| კაქტუსი | ქუ ლა | მოხ სნა | პა სი | ჩაჭ რა | დაფ არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფო ლი |
| 12 აბრამიძე | 14 | 2 | 2 | 2 | — | 4 | 2 | 2 |
| 10 დავითულიანი | 8 | 2 | 2 | 2 | — | 3 | 2 | 4 |
| 15 ჩხეიძე | 11 | 2 | — | — | 1 | 3 | 3 | 3 |
| 14 ჩუბინიძე | 9 | 15 | — | — | 2 | 1 | 1 | 3 |
| 11 ოთიურიძე | 14 | 8 | 4 | 4 | — | 2 | 1 | 3 |
| 5 აბულაძე | 10 | — | — | — | 1 | — | — | 4 |
| 8 მაჭარაძე | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| სულ | 76 | 29 | 8 | 8 | 4 | 13 | 9 | 20 |

ვისაც შარშანდელი სეზონის შემდეგ კალათბურთი არ უნახავს, უთუოდ იფიქრებდა, გუნდებმა ფორმები გაცვალეს და ისე თამაშობენო. ლაპარაკია კალათბურთელთა გადასვლა-გადმოსვლაზე, რომლითაც „დინამომ" უეჭველად უფრო იხეირა. ქვეყნის უძველეს გუნდს „კაქტუსთან" ჯერ კიდევ მატჩამდე ექვსკაციანი უპირატესობა ჰქონდა: შარშანდელი ვიცე-ჩემპიონის ხუთეულის სამი მოთამაშე — ჟღენტი, ხოშტარია და ბერძენიშვილი თავიანთ ყოფილ გუნდს დააკლდნენ და „დინამოს" შეემატნენ. სამაგიეროდ, „კაქტუსმა" იმდღევანდელი მეტოქისგან ალეკო დავითულიანი აიყვანა, რომელიც შარშან ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე „დინამოში". წინანდელი ლიდერები კი არცერთ გუნდს აღარ ჰყავს: კაქტუსელი ნაცვლიშვილი, მოგეხსენებათ, ამერიკაში სწავლობს და თამაშობს, ხოლო დინამოელმა ქარაბაკმა „ვითას" ფორმა მოიგო.

დანაკლისი ამით არ დამთავრებულა. მოედანზე ვერ გამოვიდნენ გუნდების ძირითადი გამთამაშებლები, თუმცაღა ორივე დარბაზში, ტრიბუნებზე იმყოფებოდა: თორთლაძეს მსუბუქი კომოციო აქვს, დარსაძეს კი ბოსნიასთან ნატკენი ფეხი გაუმიზეზდა. აქაც „დინამოს" ჰქონდა უპირატესობა, რადგან ცაგარეიშვილი, ჟღენტი და, გაჭირვების შემთხვევაში, მაისურაძეც ამ ამპლუაში თავს მშვენივრად გრძნობენ; ხოლო „კაქტუსში" ამ საქმის გაკეთება ნომინალურ მსროლელებს აბრამიძეს (ვინც ფრთაზე თამაშსაც უფრო გაჩვეულია) და დავითულიანს მოუწია.

კაქტუსელთა ლიდერობა ახალ კაპიტანს რეზო ჩხეიძეს უნდა ეკისრა. „დინამოს" მწვრთნელებმა მას თავიდან საქმე შეუმსუბუქეს, რადგან სასტარტო ხუთეულში მრისხანე სნაიპერი შალვა ცხვედიანი არ დააყენეს და მის ადგილზე ექს-ვითელი ვაკო ბეჟანიშვილი გაამწესეს. ჩხეიძემ, ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო დაცვის მოთამაშემ, ხუთ წუთში სამი პერსონალურის ფასად კი ალაგმა დინამოელები ფარის მისადგომებთან, მაგრამ შეტევაში თავად ალმოჩნდა შევიწროებული ირაკლი მაისურაძის მიერ. ამ დროს სრულიად ახლებურად და განსაკუთრებულად წარმოაჩინა თავი ოთიურიძემ: კაქტუსელთა ცენტრი ფარიდან შორს გადიოდა და იქიდან ბომბავდა კალათს — დასაწყისში ორი სამქულიანი, თითო გრძელმანძილიანი ორქულიანი და გარღვევა. როცა ანგარიში 13:13 იყო, თავისიანთა 10 ქულა ოთიურიძის გაკეთებული გახლდათ.

სამაგიეროდ, ვასილი დაცვაში დაიჩაგრა. ყოფილმა თანაგუნდელმა დავით ბერძენიშვილმა, ვინც, ალბათ, ყველაზე კარგათ იცის ოთიურიძის ავ-კარგი, ფარქვეშ არანაირი გასაქანი არ მისცა. ბედად, „კაქტუსის" ცენტრს კიდევ ერთი ექს-ვითელი, ზურაბ ჩუბინიძე დროულად წაეხმარა და უამრავი ბურთი მოხსნა. ამის წყალობით იყო, ვიცე-ჩემპიონმა პირველ ტაიმში ფარი 18:14 რომ მოიგო.

ნელ-ნელა ტაქტიკური ვარიანტებიც გამოიკვეთა. „კაქტუსი" პერსონალურ დაცვას ამჯობინებდა, მაშინ როცა მეტოქე უფრო ზონას აყენებდა, მაგრამ პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში ცვლიდა კიდეც. ჩუბინიძემ და აბრამიძემ აიყოლიეს თანაგუნდელები და ფარქვეშ პასებითა და გარღვევები თამაში დააწყებინეს. ოთიურიძემ შიგნით ხეირი რომ ვერ ნახა, უფრო ზემოთ ამოიწია და კიდევ ერთი სამქულიანი ჩააგდო. მაგრამ მაშინ „დინამო" უკვე 7 ქულას, 43:36 იგებდა.

რის ხარჯზეო, იკითხავთ, რისი და, ამ გუნდის მრავალნაცადი და უკვე ტრადიციადქცეული სამქულიანების ხარჯზე. დინამოელები შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან — როგორც კი რომელიმე მათგანი წამიერად უპატრონოდ დატოვებული აღმოჩნდებოდა, ეგრევე ისროდა. ამ საქმეში კი მაისურაძეს ტოლი არ ჰყავდა: ოთხი სამქულიანი. ცხვედიანი — 2, ჟღენტი — 1.

შესვენების შემდეგ „დინამომ" მძლავრ ზონურ დაცვას მიმართა. ბერძენიშვილი სამქულიანი ხაზის კიდეზე გასვლასაც არ უკადრისობდა, რითაც მეტოქეს, ფაქტიურად, მოუსპო ცენტრიდან შეტევის საშუალება. კაქტუსელებს ფლანგებიღა დარჩათ იმედად, მაგრამ ბეჟანიშვილი და კილაძე (ან ცხვედიანი) იქაც მაგრად იდგნენ. ჟღენტი კი ცენტრის სიახლოვეს დაძრწოდა და ორი მეტად საჭირო ბურთიც მოპარა დავითულიანს. შეტევაში კი კვლავ მაისურაძე ბრწყინავდა: ტაიმის დასაწყისში ჩაგდებულ სამქულიანს, ორქულიანსა და საჯარიმოს, მოგვიანებით ორი ეფექტური გარღვევაც მოუნაცვლა და თავისიანებს 15-ქულიანი მარგიც გაუნაღდა. რას იზამდა ირაკლი დარჩენილ 15 წუთში, არავინ იცის, მაგრამ ტრავმამ თამაშის გაგრძელების საშუალება არ მისცა. ბურთზე ბრძოლისთვის წარმოქმნილ ჯგროში ვიღაცამ შემთხვევით კბილებში მოაყოლა და ტუჩი გაუხეთქა. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ მაისურაძე მოგვიანებით თავმაც შეაწუხა, აშკარად გაბრუებული ჩანდა და ერთხელ, ლამის გათიშულმა, შეცვლაც მოითხოვა. თამაშის შემდეგ ყველა ეკითხებოდა, რა გჭირსო, მან კი, თუ ძმები ხართ, მაცალეთ, ჩემით გავიდე დარბაზიდანო — უთხრა და თან, სიარულისას, წონასწორობის დაცვა უჭირდა.

ზემოთაც მოგახსენეთ, ამ დროს „დინამო" 15 ქულით იგებდა. ჩამორჩენილები სამქულიანებს მიეძალნენ, მაგრამ მხოლოდ აბრამიძემ ივარგა ერთხელ. ნელ-ნელა მეტოქეებმა დაცვას მოუშვეს. ბერძენიშვილმა სამჯერ გააფუჭა ფარქვეშ მარტივი ბურთი, მაგრამ „კაქტუსს" ეს მხოლოდ ანგარიშის 11 ქულამდე შემცირებაში გამოადგა. თამაში პრაქტიკულად დამთავრებული იყო და ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ვიცე-ჩემპიონის სნაიპერმა ლადო აბულაძემ ბოლოსკენ ორი სამქულიანი ჩააგდო.

„კაქტუსი" თავისი არსებობის მანძილზე მესამე გუნდმა დაამარცხა (აქამდე ეს „ვითამ" და „თბილისმა" მოახერხეს). თავის მხრივ, „დინამომაც" გატეხა ნავსი და მესამე წელიწადს, მეცხრე ცდიდან, პირველად დაამარცხა შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი.

მერაბ რატიშვილი

გია ახალაძის
ფოტოები



ლევან მოსეშვილი დინამოელებს არიგებს

## საქართველოს ჩემპიონატი ვერის ბალი

17 ოქტომბერი

**რუსთავი — მაკაბი 92:66**

რუსთავი: აბზიანიძე (5), მიროტაძე, კიკვიძე (1), გოგოლაძე, ნიკლაური (4), ხაიაური (4), იაშვილი (12), გურასპაული (23), მ. ბერუაშვილი (22), კეჭაყმაძე (6), მიქიაშვილი (10), გ. ბერუაშვილი (5)

მაკაბი: ბერიძე (5), ტალაბაძე (5), დავარაშვილი, ტაბატაძე (8), კალანდაძე, ანდღულაძე (23), ხუხაშვილი (12), აბულაშვილი (8), ჩაჩხიანი (5)

**დინამო — სოხუმი 102:35**

დინამო: ჩიქოვანი (6), მაისურაძე (25), ჟღენტი (6), ცაგარეიშვილი (2), ბეჟანიშვილი (15), გოგუა (1), სხიერელი (4), კილაძე (19), ბერძენიშვილი (10), ცხვედიანი (12), ხოშტარია (2)

სოხუმი: ქამუშაძე, ჯიგანია (3), ბენდიანიშვილი (7), ბერია, კვაჭაძე (7), წვერიკმაზაშვილი (6), კიკალიშვილი, კარტოზია (10), ვაშაკიძე (2), სიხარულიძე

**კაქტუსი — ქუთაისი 96:69**

კაქტუსი: გაგნიძე (2), აბულაძე (5), მეჭურჭლიშვილი (4), მაჭარაძე (15), დავითულიანი (22), ოთიურიძე (17), აბრამიძე (14), ახალკაცი (7), ჩუბინიძე (9), ჩხეიძე (1)

ქუთაისი: ჭეიშვილი (5), გუმბერიძე, გუგუციძე, ბერეკაშვილი (37), ჯალალანია (2), თურქაძე (16), მაჩალაძე (7), ჩიხრაძე (2)

18 ოქტომბერი

**რუსთავი — სოხუმი 99:54**

რუსთავი: აბზიანიძე (14), მიროტაძე (4), კიკვიძე (2), გოგოლაძე (16), ნიკლაური (1), ხაიაური (8), იაშვილი (17), გურასპაული (6), მ. ბერუაშვილი (13), კეჭაყმაძე (2), მიქიაშვილი (10), გ. ბერუაშვილი (6)

სოხუმი: ქამუშაძე, ჯიგანია (3), ბენდიანიშვილი (2), ბერია (12), კვაჭაძე (10), წვერიკმაზაშვილი (8), კიკალიშვილი (3), კარტოზია (12), ვაშაკიძე, სიხარულიძე (2), აბულაძე

**მაკაბი — ქუთაისი 79:71**

მაკაბი: ტალაბაძე (18), დავარაშვილი, ტაბატაძე (22), კალანდაძე (6), ანდღულაძე (7), ხუხაშვილი (10), ჩაჩხიანი (16)

ქუთაისი: გუმბერიძე (8), გუგუციძე (5), ბერეკაშვილი (19), ჯალალანია (2), თურქაძე (23), მაჩალაძე (8), სამხარაძე, ნიჟარაძე (6)

19 ოქტომბერი

**კაქტუსი — მაკაბი 85:65**

კაქტუსი: აბულაძე (11), მაჭარაძე, დავითულიანი (19), ოთიურიძე (19), აბრამიძე (15), ჩუბინიძე (9), ჩხეიძე (12)

მაკაბი: ტალაბაძე (4), შველიძე (8), ტაბატაძე (16), კალანდაძე (2), ანდღულაძე (22), ხუხაშვილი (10), ჩაჩხიანი (3)

**ქუთაისი — სოხუმი 78:63**

ქუთაისი: ჭეიშვილი (2), გუმბერიძე (2), ჩიკვაშვილი (3), გუგუციძე (17), ბერეკაშვილი (18), ჯალალანია (6), თურქაძე (21), სამხარაძე (5), ჩიხრაძე (2), ნიჟარაძე (2)

სოხუმი: ქამუშაძე, ჯიგანია (13), ბენდიანიშვილი (3), ბერია (5), კვაჭაძე (16), წვერიკმაზაშვილი (5), კარტოზია (21)

**დინამო — რუსთავი 122:89**

დინამო: ჩიქოვანი (3), მაისურაძე (11), ჟღენტი (13), ცაგარეიშვილი (6), ბეჟანიშვილი (21), გოგუა (2), სხიერელი (20), კილაძე (20), ბერძენიშვილი (10), ცხვედიანი (16)

რუსთავი: აბზიანიძე (8), კიკვიძე (7), ნიკლაური (1), იაშვილი (10), გურასპაული (16), მ. ბერუაშვილი (7), კეჭაყმაძე (8), მიქიაშვილი (20), გ. ბერუაშვილი (12)


სახელმწიფო საწარმო
«იმედი»

ჟურნალ-გაზეთების
წიგნებისა და ბროშურების
ლექსიკონებისა და სამეცნიერო შრომების
პლაკატების
კომპიუტერული კაბადონი.
პოლიგრაფიული დიზაინი
მობრძანდით, კმაყოფილნი დარჩებით
მარჯანიშვილის ქ. №5, IV სართული, ოთახი 409,
ტელ: 96-91-73
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის შენობა



ნიკოლ მაისნერი

# მამა გრაფის სასიყვარულო ჩურჩული ტელევიზიის მეორე არხით

„გამარჯობა, ჩემო დიდო გოგო... შენი საყვარელი პეტერი გელაპარაკება...“ — სიყვარულით გონდაკარგული პეტერ გრაფის ჩურჩულით წარმოთქმულ ამ სიტყვებს ტელევიზიის მეორე არხით მოისმენენ მაყურებლები, როცა პირველად გადასცემენ შიშველი მოდელის ნიკოლ მაისნერის საიდუმლო ჩანაწერებს.

სექსი, შანტაჟი, გაიძვერობა... იქცევა კი ეს ყოველივე სასამართლო განხილვის საგნად?

ამასობაში ფრანკფურტის სამხარეო სასამართლომ მოისურვა ერთ დროს გახმაურებული პროცესის განხლება. საქმე ისაა, რომ ცნობილმა ჰამბურგელმა ადვოკატმა ლეანორე გოტშალკ-ზოლმერმა ამ ცოტა ხნის წინ მოითხოვა კრივის საქმოსნის — ები თუსტის საქმის ხელახალი გამოძიება. თუსტს, შიშველი მოდელის ნიკოლ მაისნერის ქმარს, 1992 წელს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს შტეფი გრაფის მამის — პეტერის შანტაჟისთვის. როგორც ადვოკატი ამტკიცებს, მან მიაგნო ახალ მოწმეებს, რომლებიც ვითომცდა ადასტურებენ, პეტერ გრაფმა მაშინ ის 800 000 მარკა საკუთარი ნებით იმიტომ მისცა თუსტს, რომ იგი გაჩუმებულიყო.

ნიკოლ მაისნერიც, რომელმაც მაშინ ჩვენების არმიცემის უფლებით ისარგებლა, ახლა მზადაა, წარდგეს სასამართლოს წინაშე და გააცნოს მას ამ სექსუალური აფიორის ინტიმური დეტალები. ტელევიზიით გამოსვლა დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

როგორც მე-2 არხი იუწყება, ნიკოლი კამერის წინ ამბობს, ჩვენ შტეფის სახლში ვნებივრობდით, ხოლო როცა ის შინ იყო, სარდაფში ჩავდიოდით ხოლმეო.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნიკოლმა ტელევიზიას თავისი საიდუმლო ჩანაწერებიც გადასცა. ესაა ნაწყვეტები პეტერ გრაფის ნალაპარაკებიდან, რომელსაც ნიკოლის სატელეფონო მოპასუხე იწერდა. პეტერი თავის ტურფას ასე უბარებდა: „იმედი მაქვს, კვირის ბოლოს შევხვდებით ერთმანეთს. კარგი იქნება, თუ დამირეკავ და დღესა და საათზე მოვილაპარკებთ“.

როგორც სატელევიზიო გადაცემის ავტორმა გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ზოგიერთი ფირის მოსმენისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პეტერ გრაფი გალეშილი იყოს, სხვებზე კი უთავბოლოდ ჩურჩულებს საალერსო სიტყვებსო.

თვითონ პეტერ გრაფი ამ გადაცემას (სათაურით „გრაფის აფიორა — გამარჯვებები, სექსი და საგადასახადო ხრიკები“) ვერ ნახავს. მანჰაიმის საპატიმროს საკანში, სადაც იგი ამჟამად იმყოფება, მისი ტელევიზორი მეორე არხის გადაცემებს ვერ იღებს.

გოჩა საითიძე

„სარბიელის“ საკუთარი კორესპონდენტი, ზაარბრიუკენიდან

# ფილიც ყარეს და რუსებიც დააჯარიმეს

ლონდონში, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) რეზიდენციაში გაიმართა სხდომა, რომელზეც განიხილეს დევისის თასის ამასწინანდელი ნახევარფინალური მატჩების მსვლელობა, მოაწყეს საგაისო წილისყრაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ჩოგბურთის ასოციაცია დასაჯეს იმის გამო, რომ გერმანელებთან მატჩის წინ ზედმეტი მორწყვით ლამის დატბორეს სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ კორტი. თამაში შეუძლებელი შეიქნა და მატჩის დაწყებაც საათზე მეტით დაგვიანდა. საფარის დასარბილებლად ეს ყველასთვის ცხადი ეშმაკობა მასპინძლებმა იმიტომ მოიმოქმედეს, რომ პრობლემები შეექმნათ უფრო ხისტ საფარს შეჩვეულ ბორის ბეკერისა და მიხაელ შტიხისთვის.

საერთაშორისო ფედერაციამ რუსები 25 ათასი დოლარით დააჯარიმა და მკაცრადაც გააფრთხილა, რომ წესის კიდევ ერთი დარღვევის შემთხვევაში მათ ნაკრებს აუკრძალავენ შინ თამაშს.

დააჯარიმეს რუსთა ნაკრების ლიდერი ევგენი კაფელნიკოვიც თამაშისას ზედმეტი ემოციურობისთვის.

ახლა გაგაცნობთ დევისის თასის 1996 წლის გათამაშების წილისყრის შედეგებს. უძლიერეს, „მსოფლიო ჯგუფში“ გუნდები ასე დაწყვილდნენ: აშშ — მექსიკა, იტალია — რუსეთი, სამხრეთი აფრიკა — ავსტრია, შვეიცარია — გერმანია, საფრანგეთი — დანია, ინდოეთი — ჰოლანდია, შვედეთი — ბელგია, ჩეხეთი — უნგრეთი.

ეს მატჩები 9-11 თებერვალს გაიმართება, მეოთხედფინალი — 5-7 აპრილს, ნახევარფინალი — 20-22 სექტემბერს, ფინალი კი 29 ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე გასტანს.


ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით“ შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 36-00-94, 36-65-00, 93-36-71


**სად არ შეხვდებით ამერიკაში აგასის, უფრო სწორად, მის ფიზიონომიას — სახლების კედლებზე, მეტროში, ავტობუსებში... ექსტრავაგანტულობით ცნობილ ჩოგბურთელს ოდენ ვარცხნილობა და ჩაცმულობა როდი გამოარჩევს — სიყვარულიც უცნაური სცოდნია და 25 წლის კაცის კვალობაზე სხვანაირადაც ერთობა. თავისი „სისუსტეების“ შესახებ ანდრე NBC-ზე მოწყობილ სალაზღანდარო შოუზე ესაუბრა ლაყბობით ცნობილ წამყვან ჯეი ლენოს. გთავაზობთ მცირე ნაწილს მათი დიალოგიდან, რომელიც „შპორტბილდში“ დაიბეჭდა.**

# მსუქანი, მელოტი და საზიზღარი



ანდრე აგასი

— კარგად გამოიყურები, კარგ გუნებაზეც ხარ...

— არადა, ვბერდები და ისეთ საგნებზე ვიწყებ კონცენტრირებას, რასაც ადრე ყურადღებას არ ვაქცევდი. ვსწავლობ იმის სიყვარულს, რასაც ვაკეთებ.

— ისეთი მომხიბვლელი მეგობარი, როგორიც ბრუკ შილდსია, ალბათ ცოტათი მაინც გეხმარება ამაში...

— იგი საოცრად მამშვიდებს. დამარცხების შემდეგ, როცა შინ ვბრუნდები, აღარაფერი მანერვიულებს.

— მოდი, შენს გარეგნობაზე ვისაუბროთ. ამერიკელები კიდევ იტანენ შენ პირატისებურ იერს, ხოლო ევროპელები, განსაკუთრებით კი ინგლისელები პირდაპირ ცოფდებიან აღშფოთებისგან.

— მართალი ხარ, ძალიან უკმაყოფილოები იყვნენ ჩემით, განსაკუთრებით პრესა. ერთგან ესაც კი დაწერეს: „ის პატარა, მსუქანი, მელოტი და საზიზღარია“.

— როგორი იყო შენი რეაქცია ამაზე?

— მიხარია, რომ ბრუქი ასე არ ფიქრობს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ის ამ „პატარა, მსუქან არსებას“ იტანს.

— რამდენი ხანია, რაც ერთად ხართ?

— უკვე ორი წელია. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ფაქსებს ვუგზავნიდით.

— შენ ბრუქ შილდსს ფაქსებს უგზავნიდი?

— პირველი ფაქსი მან გამომიგზავნა. ბრუქი სამხრეთ აფრიკაში სტუმრობდა ჩვენ საერთო ნაცნობთან, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ცდილობდა ჩვენს ერთმანეთისთვის გაცნობას. არაფერი რომ არ გამოუვიდა, ერთურთის ფაქსის ნომრები მოგვცა და თავში ქვა გიხლიათო, გვითხრა. ამის შემდეგ სამი თვის მანძილზე ფაქსის მეშვეობით ვურთიერთობდით.

— სამი თვე მხოლოდ ფაქსებს უგზავნიდით ერთმანეთს?

— დიახ. მაგრამ როცა მიმოწერის შემდეგ ხვდები ადამიანს, შენ მასზე უკვე გარკვეული და ჩამოყალიბებული აზრი გაქვს.

— შენ ამბობ, რომ მანამდე არასოდეს შეხვედრიხარ ბრუქს?

— არა, ჩვენ წერილების მეშვეობით შევიყვარეთ ერთმანეთი.

— მდიდარი სექსუალური ცხოვრება გქონია ამ ხნის მანძილზე. შევცვალოთ საუბრის თემა. რამდენჯერ ყოფილხარ წარმოდგენა „გრიზზე“, რომელშიც ბრუქ შილდსი მონაწილეობს?

— დაახლოებით, 35-ჯერ. მსახიობები უკვე დარბაზში მეძებენ ხოლმე, როცა ტექსტი დაავიწყდებათ, მე ხომ მთელი შოუ ზეპირად ვიცი. სამწუხაროდ, არც ცეკვა შემიძლია და არც სიმღერა.

— საკმაოდ მძიმე სურათია, როცა პატარა, სქელი, მელოტი და საზიზღარი ხარ, თანაც არც სიმღერა იცი და არც ცეკვა. ეს, უბრალოდ, საშინელებაა. შენ მანქანები გეყვარება...

— მანქანებზე ვგიჟდები, საყვარელი მანქანაც მყავს — „ჰამერის“ სამხედრო ჯიპი. მას ვანიდა დავარქვი. გადასარევი რამაა. მთელ ლას ვეგასშია ცნობილი. ქუჩაში გუბეებში სიარული და ხალხის გაწუწვა უყვარს. მუდამ უდაბნოსკენ გაურბის ბორბლები, მაგრამ როცა ამას სჩადის, ვაჯარიმებ — ან ვრეცხავ, ანაც გარაჟში ვკეტავ. ეს კი ვანიდას ძლიერ სძულს.

# მშვიდობით, ჯენი

გალოთებულმა, განარკომანებულმა, კლეპტომანიით და, ვინ იცის, კიდევ რა უბედურებით შეპყრობილმა ჯენიფერ კაპრიატიმ, 19 წლისა პროფესიულ სარბიელზე ოთხი წლის გამოსვლის შემდეგ, საბოლოოდ დაუსვა წერტილი თავის საჩოგბურთო კარიერას. ვარსკვლავი ჩუმად, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ჩაქრა. მრავალი ადამიანი ეცადა ამ გზააბნეული კრავის სწორ გზაზე დაყენებას. ამერიკის ღია პირველობის წინ გამართულ ერთ შოუ-ტურნირში ორგანიზატორები ჯენიფერს ანდრე აგასისთან წყვილში თამაშს სთავაზობდნენ, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსნენ. შემდეგ მისი კოლეგები — მარტინა ნავრატილოვა, გაბრიელა საბატინი და კონჩიტა მარტინესი შეეცადნენ მასთან დაკავშირებას. მათ მშობლებისგან მხოლოდ ის შეიტყვეს, რომ ჯენიფერი თავის მეგობარ ვაჟთან ერთად სადღაც კალიფორნიაში, უდაბურ ადგილას ცხოვრობს და არავის ხილვა არ სურს.



ჯენიფერ კაპრიატი

1994 წელს, დაპატიმრებისა და ნარკომანიაში მხილების შემდგომ, ჯენიფერი თითქოს გონს მოეგო, ვარჯიში დაიწყო და ფილადელფიის ტურნირზეც გამოვიდა, მაგრამ პირველივე წრეში ანკე ჰუბერთან დამარცხდა და კვლავ ალკოჰოლსა და წამლებს მიეძალა.

ფორმულა 1

# სენა მაინც პირველია

„ფერარიში“ გადასვლის შემდეგ მიხაელ შუმახერი, რა თქმა უნდა, სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი იქნება. ფაქტიურად, სულ ერთია, ვის „მიუსვამენ“ მეორე პილოტად — ეს უკანასკნელი მაინც ვერ ასცდება „უბრალო დამატების“ როლს იტალიელთა „საჯინიბოში“.

პირველობა პირველობად, მაგრამ შემოსავლიანობაში პირველობა „შუმის“ სულაც არ დაბევებია. ბოლო ცნობებით, გერმანელი წელიწადში მხოლოდ 20 მილიონ დოლარს გასამრჯელოდ და დაახლოებით 5 მილიონს სპონსორთა — „დეკრას“, „სინაქსის“, „ომეგას“, „RTL“, „ბიტბურგერის“ შემოწირულობად მიიღებს, რაც ჯამში 36,2 მილიონი მარკის ტოლფასია. აირტონ სენას კვლავ პირველი ადგილი უკავია ერთ სეზონში გაკეთებული ფულით: 1992 წელს მან 23 მილიონი დოლარი მიითვალა, რაც იმ დროს 39 მილიონ მარკას უდრიდა.

XV ეტაპი

22 ოქტომბერი. წყნარი ოკეანის გრან-პრი.

ავტოდრომი „ტანაკა ინტერნეიშენლ“ (იაპონია)

წრის სიგრძე 3702 მ, 83 წრე, 307,3 კმ

სიჩქარის რეკორდი წრეზე — 190,9 კმ-სთ (აირტონ სენა, „უილიამსი“, 1994)



პირველი რბოლის პრიზიორები:

1994. მიხაელ შუმახერი („ბენეტონი“), გერჰარდ ბერგერი, რუბენს ბარიკელო.

წყნარი ოკეანის გრან-პრი, ანუ, ფაქტობრივად, მეორე იაპონური ეტაპი, ფორმულა 1-ის რბოლებში ნაბოლარაა — პირველად შარშან გათამაშდა. საერთოდ, საოცარია იაპონელთა სიყვარული „სამეფო რბოლებისადმი“. მიუხედავად იმისა, რომ იქაური პილოტები ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ, კონკრეტულად კი, აქამდე ერთი რბოლაც არ მოუგიათ, იაპონიაში ერთი დიდი პრიზი არ იკმარეს და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას მეორეც დასცინცლეს ასეთი ფართომასშტაბიანი სახელით.

კუნძულ ჰონსიუზე აგებულ ახალ, უხიფათო ავტოდრომზე შარშანდელი დებიუტი მშვიდობიანი კი გამოვიდა, მაგრამ რბოლამ თავიდანვე დაკარგა ინტერესი, რადგან მიხაელ შუმახერმა ისეთი ტემპი აიღო, ახლოსაც ვერავინ მიეკარა. ფინიშზე „შუმიმ“ უზარმაზარი უპირატესობით (75 წამი) აჯობა მეორე ადგილზე გასულ გერჰარდ ბერგერს („ფერარი“).

პრობლემები წლეულს გაჩნდა: იანვარში ძლიერმა მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა სატრანსპორტო კომუნიკაციები კობეს დეპარტამენტში, სადაც „ტანაკა“ მდებარეობს და ავტოდრომის ბევრი თანამშრომელიც იმსხვერპლა. ამის გამო აპრილში დაგეგმილი რბოლის ჩატარება შეუძლებელი შეიქნა და საოქტომბროდ გადმოიტანეს.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ბია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29